

# მწყემსი

1883-1889

### გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

«მწყემსი»

«მწყემსი» რუსული გამოცემით

12 თვით . . . . 5 მან.

12 თვით . . . . 6 მან.

6 — . . . . 3 —

6 — . . . . 4 —

გაზეთის ღირსის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ აღრესით: *въ Кеурнахъ, Въ конторы редакцїи „Мижемси“ (Пастыр).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილი დასაბეჭდავად, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის ოსუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.


### მღვდლის აბორიტიმტი (პატივი და ბავლენა).

მწყემსი, როგორც გვიანდერბა შავლე მოციქულმა, უნდა იყოს მაგალითი სხვებისთვის არა მარტო სიტყვით სწავლა-მოძღვრებაში, არამედ ყოველს საქმეში, რაც კი შეხვდება მას ცხოვრებაში მისს სამწყსოსთან. ყოველთვის და ყოველგან მისს სულიერ შვილებთან სამრევლოში იმას უნდა დაცული ქონდეს თავის სიტყვა-მოძღვრებაში სიწმიდე, დარბაისლობა და სისწორე.

თუმცა მწყემსნი თავის მადალის სამსახურის დანიშნულებისამებრ არ უნდა იყვნენ ამა ქვეყნისაგან, მაგრამ ისინი როგორც ხორც შესხმულნი ადამიანნი და დადგენილნი ადამიანთათვისვე სამსახურისთვის, ვერ განემორებინან, ვერ განცალკევდებიან ხალხთაგან და ვერ გასწვევებენ ყოველს კავშირს სოფელ-ქვეყანასთან: ის კი არა დამათ ყველა სხვა კაცებზე უმეტესი დამოკიდებულება

\*) იხ. «მწყემსი»-ს № 14.

და კავშირი უნდა ჰქონდესთ ყოველი მდგომარეობის, წოდების და სქესის ადამიანებთან. რასაკვირველია, მწყემსისათვის ადვილი არ არის ყოველგან ესრეთ სხვა-და სხვა სჯულის ხალხში შესდგეს კათედრაზე ქრისტიანობის სწავლა-მოძღვრებისათვის და ამ ნაირად გადააქციოს ზალა, ანუ სასტუმრო, ანუ გლეხის ქოხი ქრისტიანული კეთილ მსახურების სკოლათ, კიდევაც რომ მოინდომოს მან ასე მოქცევა, იმას მაინც არავინ გაუგონებს და პირ იქით ყველანი სთხოვენ, რომ ქადაგება გადასდოს სხვა დროისათვის და იმ დღეს კი მონაწილეობა მიიღოს იმათ ჩვეულებრივ ქეიფ-მასლაათში. ესრედ საუბრებში იმას გაუჭირდება დაიკვას ჯეროვანი დარბაისლობა და სისწორე სიტყვა მოძღვრებაში იმ კაცობრიულის სისუსტისა და უძღურებისა გამო, რომელზედაც იაკობ მოციქულმა ბრძანა: ხალხსა კაცთა კერვის სკლემწითების დაშვასად; დაუხეობელი ბოროტი, სხაკე გესდითა მომკვდინებულთა. რამეთუ მით ვაკურთხევთ დმერთსა და მამასა და მათვე მსწევთ კაცთა, რომელნი მსკავსად დმთისა შექმნულ არაან (იაკობ. 3, 8-10). ამ უძ-



ღურებას კაცის ბენებაში ის ძალა აქვს, რომ კაცს, რომელიც არა სცოდავს სიტყვით, ვი სთვლის სრულ კაცად, რომელსაც შეუძლია ალაგმოს მთელი თავისი სხეულიც (3, 2). სიტყვა-პასუხში თავგასულობა ჩვენს ჩვეულებრივს მდაბიო ცხოვრებაში არის ისეთი საზოგადო მოვლენა, რომელიც არავის არ აწუხებს და არც არცხვენს, თვინიერ ეგკლესიის მწყემსისა, საკვირველია, რომ ყოველს წოდებაში, ყოველს მღვდამარეობაში თვითონ არცეთი ავი და მურალი ენის პატრონი კაცი არ თავილობს არაფერს უმზგავსო რამეების წარმოთქმას, ხოლო თვით იგივე უმართებულოთ მოლაპარაკე ადამიანი სასტიკად გიცხავს ეგკლესიის მწყემსს ერთი მოულოდნელი სიტყვაც კი რომ წამოსცდეს მას. უნდა გვიხაროდეს, თუ უფრო უნდა ესწუხდეთ ჩვენ ამისათვის? ვერ გაგვიგია ნამდვილი მიზეზი ერთი სასტიკი მოძღვრის სიტყვა-პასუხის კილში ჩადგომისა: შეიძლება ამ შემთხვევაში ხალხს აქეზებდეს ამაო და რეგნული სურვილი მწყემსთა განკიცხვისა და განსჯისა, რომ იმათ მათის მაგალითით გამართლონ თავიანთი ავყოობა.

ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, სასიხარულო არა არის რა. შეიძლება იმათ წრფელი სურვილიც კი ჰქონდესთ დაინახონ თავიანთ მწყემსში ყოველად სრული და საქები გვაში მისაბაძველად. ამ შემთხვევაში არ შეგვიძლია არ გავიხაროთ. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ აქ ადგილი უნდა ჰქონდეს როგორც ერთს, ისე მეორე მიზეზსაც; ეს იმიტომ რომ ზოგნი, თუ ბოროტი განზრახვით განკებ სცდილობენ დაიჭირონ მღვდელი ყოველს უადგილო და უცაბედს სიტყვა-პასუხში, მაგიერად მრავალნი სხვანი დიდის გულ მტკივნეულობით შესცქერიან ყოველს მის უადგილო სიტყვა-პასუხს.

რა მიზეზითაც უნდა უყურებდეს აგრე სასტიკად მრევლი მღვდლის სიტყვა-პასუხს, თვით მწყემსი უმეტესის თავდარიგით და დაკვირვებით უნდა უყურებდეს თავის აზრს და სიტყვებს, თავის დანიშნულებიანებერ ქრისტეს ეგკლესიაში და აგრეთვე ყოველთვის და ყველგან შეაყენოს თავისი ენა ყოველის ცუდის და მავნებელის სიტყვისაგან. ყოველთვის და ყოველგან უნდა წარმოთქვას აზრი ქრისტიანობის ჭეშმარიტებაზე დამყარებული. ამასთანავე


მისი სიტყვა უნდა იყოს სიმართლით და ქრისტიანული სიყვარულით გაბეჩილი. ყოველს სიტყვაში მწყემსმა უნდა შეიტანოს სიბოლო და სინათლე, და არა სუსხი და სიბნელიე. თვითეული თავისი სიტყვა მან უნდა აწონოს ქრისტიანული სარწმუნოების და ქველმოქმედებრივის სასწორითა, სასწორითა მწყემსის კეთილგონიერებითა. ყველაზე უფრო ის უნდა გაუფრთხილდეს ავსიტყვაობას, უამისოდ ძნელად მოხდება ბაასი! არასოდეს არ უნდა გააკიცხოთ ჩვენი ძმები — მწყემსნი, რადგანაც ამით ჩვენ უკარგავთ მწყემსს პატრის და გავლენას სამწყსოში. ერთი სიტყვით, მწყემსმა უნდა წინადავე იცოდეს ხასიათი, მიდრეკილება და გონებითი განათლება თავის მობასეთა. ამით ჩვენ არ ვამბობთ, რომ მწყემსმა თავისი აზრი და რწმენება, ხერხიანობით შეათანახოს მობასეთა აზრებთან და გამოვიდეს კარგ კაცად, არამედ ჩვენ გვინდა გამოვსთქვათ ის ჰაზრი, რომელიც იხატება ქრისტეს სიტყვებში: „იყავ მეცნიერ, ვითარცა გველი და უმანგო, ვითარცა მტრედი“ (მათ. 10, 16).

ცხადია, რომ მოძღვრის პატრივ-გავლენისათვის საჭიროა, რათა მწყემსის მოქმედებანი ეთანხმებოდენ მისივე სიტყვებს. რასაც მწყემსი ქადაგებს, ის უნდა ადასრულოს თვით მწყემსმა და მისმა ოჯახეულობამ, და ეს, თუ ასე არ იქმნა, — მაშინ მწყემსის მრომა და ზრუნვა სამწყსოხადმი ეგვანება იმას, რომ ერთის მხრით ამენებდეთ შენობას და მეორეს მხრით არდევდეთ საკუთარს ნამენებს: თქვენ საბო ნათელნი სოფლისანი, იტყვის უფალი; ვერ შელეძიყვების ქადაქსა დაფარვად მთასა ზედა და შენებოფსა, არცა აღსთიან სანთელსა და დასადაიან ქვეშე სეიმიასს, არამედ სასანთელსა ზედა და ნათობნ იგი უოველთა, რომელნი იყენიან სახლას შინა. ეგრეთ ბწყენიანადინ ნათელი თქვენი წინაშე გაცოთ, რათა ასილენნ საქმენი თქვენნი კეთილნი და აღიღებდენ მამ თქვენსა ზეცათასა. (მათ. 5, 14-16).

აგრეთვე წმ. მოციქულმა პავლემ უანდერძა ტიმოთეს, რომ იგი მართლ სიტყვით კი არ უნდა უჩვენებდეს მოწმენეთა მაგალითს, არამედ ცხოვრებით, სიყვარულით, სარწმუნოებით და სიწმიდით. იგივე მოციქული ტიმოთეს და ტიტეს მიმართ ამბობს, რომ მწყემსი არ უნდა იქმნეს ღლოთი, მცემარი, მატყუარა და ანგარების მოყვარული, არამედ უანგარო, კარგი მეოჯახე და შვილთა აღმზრდელი მიშა და მორიდებასა ქვეშე. (ატიმ. 3, 3-4), კეთილ-მოყვარე, მართალი, მოძ-

თმენი (ტიმ. 1, 7-8). მოძღვრის პატივ-გავლენის ასამაღლებლად მოციქული ითხოვს, რომ ახლად ხელ-დასაშუალი მწყემსისათვის საჭიროა მოწმობა მის კეთილ-ზნეობასა და უოფა-ქცევაზე არა მარტო თავის მოსჯულებათგან, არამედ გარეშე მოწმობათგანაც, რომ არ იქმნეს დაუნდობლობა და სიძულვილი მას დასამწყსოის შორის. თუ მწყემსი ქრისტეს სწავლისაებრ არ ცხოვრებს, ის ამცირებს უველა მართლ-მადიდებელი მწყემსების ავტორიტეტს სხვა აღმსარებელთა თვალში. თუმცა ბევრნი ამბობენ, რომ სამწყსო, სულაც არ უნდა უყურებდეს მწყემსის მოქმედებას და ასრულებდეს იმას, რასაც ეუბნება მათ მწყემსი; იცხოვრონ მისი სწავლისაებრ და არასაქმისა — მაგრამ ასე არ ხდება: რამდენათაც უნდა გვაჯერებდეს ჩვენი ჭკუა, რომ უნდა გვჯეროდეს სიტყვა და მოძღვრება თუმცა უდიდესი მწყემსისა, ჩვენს გულს ამის დამორჩილება არ შეუძლია და სულ ამას ჩაგვიტყუებს: «მკურნალო, განიკურნე თავი თვისი». ამისათვის მწყემსის სიტყვებს არა აქვს ჯეროვანი გავლენა სამწყსოში; ეს საკვირველიც არ არის: ჯერ თვით მწყემსმა უნდა გამოსცადოს და აღასრულოს, რასაც ქადაგებს და მერე თავის მოძღვრების აღსრულება მოითხოვოს სამწყსოდანაც. უამისოდ მწყემსმა რაც უნდა იმაცადინოს, მაინც მისი სიტყვა მოკლებულია სიკოცნლეს და არ იქმნება არავითარი მნიშვნელობა და გავლენა სამწყსოზე, ადვილად შეიძლება, რომ ამის მიზეზი იყოს მათი ურწმუნოება და უქონლობა ქრისტიანულის სიყვარულისა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ უოველი მწყემსი მთელს ძალ-ღონეს უნდა ხმარობდეს რელიგიურ-ზნეობრივად აღამაღლოს თავისი სამწყსო.

სიყვარული, ნდობა, პატივი და გავლენა მოიპოვებიან სიყვარულით. ამისათვის თავდაპირველად მწყემსმა უნდა გულისხმავდეს შეიყვაროს თავისი სამწყსო, უპირმოთნეო და უანგარო სიყვარულითა. რასაც კი მწყემსი გააკეთებს მოძღვრული სიყვარულის სახელით სამწყსოში, უოველივე ჩინებელი იქმნება. და რასაც იზამს არა მოძღვრული სიყვარულის გავლენით, იქმნება უსარგებლო. ამის მაგალითის ნახვა ადვილია, როგორც ძველი, აგრეთვე ახალი მწყემსების მომქედებაში. ამბობენ, — ჩვენი ხალხი ჯიუტი და გაუნათლებელია და ამისათვის ვერ ითვინებენ მწყემსის მოძღვრებას. ამას იტყვის მართლ იმისთანა პირი, რომელსაც არასოდეს არ უვარებია თავისი ხალხი, არავითარი კეთილი მათთვის არ უქნია და, თუ რამე ღვაწლი მათზე დაუდვია, არა მოძღვრული სიყვარულისათვის, არამედ საჩვენებლად და თავის საქებრად. ამისთანა მწყემსი დიდს ხანს ვერ გასტანს თავის სამწყსოში და რამდენიც უნდა იცვალოს მრევლი, ვერსად ვერ დასტოვს კარგ სახელს. აგრეთვე არის იმისთანა მწყემსნი, რომელნიც ისე აუვარებენ თავს თავის სამწყსოს, რომ რამდენიმე ათი ვერსის მანძილიდან მიდიან მასთან ზნეობითი დარიგების და ჭკუის სასწავლად. ერთი და ორი წლის სამსახურით სამწყსოს გულს ვერ მოიგებ, რადგან მათის გულის მოსაგებად მწყემსისათვის ხშირად საჭიროა ცხრათი წელი და ხანდისხან მეტიც. და თუ ერთჯერ მიანდვს მწყემს გული, ის სიკვდილამდის დარჩება მათ საყვარელ და ხანდო კაცად, სადაც კი უნდა დარჩეს. სიკვდილის შემდეგ კი ამისთანა მწყემსი სამწყსოში მოხსენებაში იქმნება, როგორც ერთი ვინმე მათი ნათესავთაგანი.



**ათონის ივერიის იკონანი ლვითის-მეტყველის სავანის  
პატრიარქ კვათა წაჩილუბისა ბაგო.**

ათონის ივერიის ქართველთა სავანის ძმათაგან ჩვენ მრავალი წერილები მივიღეთ ამ ერთი თვის განმავლობაში. ამ წერილებში სავანის ძმანი, სხვათა შორის, გვწერენ შემდეგს: «ათონის ქართველთა იკონანე ლვითის-მეტყველის სავანე დაფუძნებულია ბ. ნოდისაგან და მისგან შეკრებილი ფულებით და არა ბენედიქტესაგან. სამი ათასი მანეთი, რომელიც რუსეთის მოწყალე იმპერატორის ბრძანებით ჩვენ დაგვენიშნა ხაზინიდან, მოხდა მხოლოდ საბინისის წყალობით და არა სხვა ვისგანმე. მრმოცი ათასი თხოვნითი წერილი დაიბეჭდა და ჩვენის მიხედვით გაიგზავნა ბენედიქტესაგან რუსეთში. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ამ წერილებით მრავალი შეწირულება მოდის ქუთაისში ვაჭრის კემულარიას სახელზედ, მაგრამ ყველა ჩვენგანმა არ იცის, თუ სად მიდის და რაში იხარჯება ეს ფულები. ბეიკვირს, რომ იმერეთის ეპისკოპოსის სახელზედ აღარ ინება მ. ბენედიქტემ ამ შეწირულებათა დაბარება. ღიღს ვაჭიერებაში ვართ ყველა ძმანი; ლვითის ანაბარათ ვართ გაშვებულნი. მიხედვით ლმერთს და მოგვხედვით, ქართველნი, ასე უპატრონოდ გაშვებულთა!»

ამასთან სავანის ძმანი გვწერენ სხვა მრავალ ამბებსაც და გვიგზავნიან ისეთ ცნობებს, რომელთა საქვეყნოდ გამოაშკარავება შეუძლებელია

ჩვენ ვკითხვთ ქუთაისის ფოსტის ერთ მოსამსახურეს და მან შემდეგი გვიამბო: «ბენედიქტემ ათას ორასი ადრესი მარტვა მე დამაწერინა და ამ ადრესებით წერილები გაგზავნა რუსეთშიო. ამ წერილების შემდეგ მრავალი შეწირულება მოვიდა ვაჭრის კემულარიას სახელზედ გადასაცემათ ბენედიქტეზე და ფულებთან ღიღი ყუთებიც მოვიდა შესამოსლებით სახესე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შეწირულებანი ფულით და ნივთებით ბენედიქტეს მიტყეული ექნება, სადაც რიგია და იმედია ანგარიშს მისცემს საზოგადოებას და სავანის ძმათაც».

ჩვენ აგრეთვე შევიტყუეთ, რომ მ. ბენედიქტეს ათონის სავანის ძმათათვის უთხოვნიდა მოწმობის გამოგზავნა ქუთაისში, რომ იგინი ვითომც მას ანგარიშს არა სთხოვენ და ამ მოწმობის მიღების შემდეგ ჩვენ ჩვილს გვიპირებს და პასუხის გებაში სდომებია ჩვენი მიცემა,

ენიადგან ჩვენ ანგარიშის მოთხოვნად წერილის დაბეჭდვა გაუბედეთ «მწყემსში»!.. გვატყობინებენ, რომ ბენედიქტეს მოადგილე ძალას ატანს ძმათა და ამისთანა მოწმობაზედ ხელს აწერინებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძმათ ემუქრებიან და აშინებენ სავანიდან დათხოვნით.

ჩვენის მხრით ამ შემინებულ ძმათა უცხადებთ, რომ რამდენ მოწმობაზედაც უნდა მოუწერონ მათ ხელი მ. ბენედიქტეს, იგი მაინც იძულებული შეიქმნება ანგარიში მისცეს საზოგადოებას და რუსეთის მთავრობას, რომლის ვადაწყვეტილებით სავანე იღებს 3000 მანეთს ხაზინიდან.

მ. ბენედიქტემ იმერეთის სამღვდლოებას მაინც უნდა მისცეს ანგარიში იმ ფულებზე, რომელიც ადგილობრივ სასულიერო მართებლობის ნებათვით კონდაკით შეკრიბა მან აქ; თვითონ ჩვენს საბლალოჩინოში შეკრიბა მამა ბენედიქტემ საპასი მანეთი და მაშინ ყველას ვებრძობოდა ანგარიშის მოცემას.

შველაზე მეტად ჩვენ ის გვაკვირებს, რომ მ. ბენედიქტე ქუთაისში სცხოვრობს და ხან რუსეთში მოგზაურობს და ათონის მონასტერში შეიძლება ოთხ წელში მარტო ორი კვირა შეხედეს ცხოვრება... ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ათონის მონასტრის წესი არავის არ აძლევს ამისთანა თავისუფალი ცხოვრების ნებას... ამბობენ, რომ ათონის მონასტრის მამულების ამოგების საქმეს აწარმოებსო და მიტომ არის ქუთაისშიო, მაგრამ ეს ჩვენ არ გვჯერა. მას საქმე რუსეთის იმპერიის-სასამართლოებში არა აქვს და არც შეიძლება იქაინოს. ამბობენ, ქუთაისში აპპელაციას აწერინებს 3000 მანეთადაო. რა უბედური აპპელაციაა ამისთანა, რომ ამ სამ წელში ვერ გაათავებს მისი წერა. მანა ათონის მთიდან არ შეუძლია, რომ ცნობები მისცეს ამ აპპელაციის დამწერს? ამასთან ნივთების და შეწირულების დაბარება პირ-და-პირ ქონსტანტინე-პოლის ანუ სალონიკის ელჩების სახელზედ უმჯობესი არ იქმნებოდა?

მ. ბენედიქტეს სავანის ძმებისათვის მიუწერია, რომ ჩვენგან დაბეჭდილ წერილებს ნუ წაიკიობენ, რადგან ჩვენ, ვითომც, ბერძნის ბერების მხარე დავიკავეთ. მს ნამეტანი აშკარა სიცრუეა და უსაფუძვლო აზრი. მისაც პატარა მოსაზრება აქვს, ადვილად მიხვდება, რომ ჩვენ არავისი მხარე არ გვიკავია. მინც უნდა

მოვიდეს და დაგვიმტკიცოს, რომ ქუთაისში დაწერილი აპელაციებით თათრებს გარეყავს ძონსტანტინეპოლიდამ იმ საფუძვლით, რომ ეს ქალაქი ერთ დროს ქრისტიანების ყოფილა, არაფის დაუჯერებთ ამას და ამისთანა აპელაციის დასაწერათ ფულებს შეკრებას და ხაჯის მიღებას დიდ რევენობათ ჩავთლით, ხოლო ამისთანა საქმის ჩამდენ კაცს სულელად და ვერაგ კაცად მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ თათრების მომხრე ვიყოთ ამ საქმეში.

დ. დ. ლა—ძე.

P. S. როგორც გვითხრეს, პატივცემულ იმერეთის ეპისკოპოსს ბაბრიელსაც მოუთხოვია მოკლე ანგარიში ბ. ბენედიქტესათვის, მაგრამ მასს მათი მეუფებისათვის არავითარი ანგარიში არ მიუცია ეს უფრო გვაკვირვებს ჩვენ...

დ.

**მოგზაურობა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელომსოფლიოს, საქართველოს ეგზარხოსის პალატისა მარძიანში.**


წარსულის თთვის 17-ს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელომსოფლიოს, საქართველოს ეგზარხოსი პალატადი, მობრძანდა ახალ-ქალაქში, საიდგანაც მეორედღეს, დილის 8 საათზე, ვაგმგზავრა ვარძიანში. მის მაღალ ყოვლად უსამღვდელომსოფლიოს აზრად ჰქონდა დაეთვალაიერებინა ქუმურდოს და წუნდის ეკკლესიები, რომელნიც თავიანთის მშენებნიერთა და ხუროთმოძღვრებით ღირს შესანიშნავ ეკკლესიებად ითვლებიან მთელს მესხეთსა და ჯავახეთში. ქუმურდოს ეკკლესია ძალიან მოიწონა მისმა მეუფებამ და ბრძანა: დიდად ვსწუხებარ, რომ ვეკკლესია არ დაცულა და მტერს აუოხრებია. ადგილობრივ სომხის მღვდლებსაც მისცა დარიგება, ყური უგდონ და რაც დარჩენილა, ისიც არ დაანგრევიონ. თერთმეტის საათის დასაწყისი იყო, როცა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელომსოფლიოს ქუმურდოდან ვარძიის მონასტერში ვაგმგზავრა. გზა-გზა მრავალი ხალხი შეგროვილიყო

ახლო-მახლო სოფლებიდან: კაცი თუ ქალი, დიდოთუ პატარა, მოუთმენლად ელოდა ლოცვა-კურთხევა მიელო. მისს მეუფებას თან ახლდნენ ახალ-ქალაქის მაზრის უფროსი, ბოქაული ბ-ნი ჩ—ძე და პოლიციის მოხელე მუსტაფა-ბეგი ბ-ნი ფალავანდიშვილი ასსზე მეტი ცხენოსანით. ქურთებსაც თავიანთი დროშა გამოეგებებინათ. მარძიის გზა თუმცა გააკეთეს, მაგრამ მანც საშიში და ძნელი საველი იყო: ბევრს ადგილას ო-ოარი ცხენი ძლივს იმართებოდა და ბევრგანაც ეგზარხოსი იძულებული იყო ჩამობრძანებულიყო ეტლიდან, რათა ეტლი ხელით ვაგტანათ რომ უფსკრულში არ გადავარდნილიყო. პირველი საათი სრული იყო, როცა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელომსოფლიოს აბრძანდა მონასტერში, სადაც შემოსილი მღვდელ-მონაზნი მ. სვიმონი დაუხვდა თავის კრებულთ. პარაკლისის შემდეგ, როცა ხალხი ჯვარს ემთხვია და ეკკლესიაში სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ეგზარხოსმა ღირს-სახსოვარი სიტყვა წარმოასთქვა:

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა... მე დიდად მოხარული ვარ და ვმადლობ უზენაესს, რომ მან ღირს მყო და მომცა შემთხვევა მენახა ეს უდიდესი და უძველესი მონასტერი-ვარძია. დიდად მოხარული ვარ, რომ სისხლითა და მსურვალე ცრემლით აშენებული მონასტერი რომელიც ოდესმე იფარავდა არა ერთსა და ორს ათას კაცს შეუბრალებელ მტრისაგან, ცოტაოდნავ კიდევ დაცულა და გვაძლევს საშუალებას დავაფასოდ შრომა მოღვაწეობა ქართველ მეუფებისა და ქართველების მხნეობა და ქველობა. როგორც ეს მონასტერი და ეკკლესიები, ისე მრავალნი სხვანი არიან საქართველოს დაუვიწყარი ძეგლინი. ივერიას თავი უნდა მოსწონდეს ამით. მთელის დედაამისის ზურგზე ძნელად მოიძოვება იმისთანა ღვთისაგან ნაკურთხი მხარე, რომელსაც დაეტოვებინოს იმდენი მართლ-მადიდებლობის ნაშთი, რაოდენსაც ჩვენ ვხედავთ საქართველოში. კურთხეულ იყოს ეს მშვენიერი მხარე, კურთხეულ იყოს მისი ერი! ვსთხოვ ყოვლად შემძლებელს, რათა მან კვლავ მისცეს ძალა ქართველებს, რომ მათ თავიანთ წინაპართა ძვირფასნი ნაშთი შეაკეთონ და მართლ-მადიდებლობა დაიცვან ისე, როგორც დღემდე დაუცაუთ. ამინ?

სიტყვის შემდეგ ეგზარხოსმა გამოჰკითხა მონასტრის მდგომარეობა და სთხოვა სურათები აეხსნათ, თუ ვინ-ვინ არის ის სურათები, რომლებითაც მთელი ეკკლესიის კამარა და კალთები მოფენილია. უნდა ვხსენებოთ, რომ არაფერი აღმოჩნდა იმისთანა, რომ ეკკლესიის კანკელის მოუხერხებლობა აეხსნა და ეთხოვნა იგი გამოეცვალათ. კანკელი ამ ახლო ხანში ვააკეთებინა ერთმა ბერძენმა ჰაჯიამ, იმ ჰაჯიამ, რომელმაც მონასტერში პირველად დაასუთავა

და დიდი შრომა და დო. მხოლოდ კანკლის მხატვრობა ბერძნულია, ისიც დაბალის ღირსებისა, და სხვა მხატვრობას არ შეეფერის. სადილოს შემდეგ მისმა მეუღლემ ცოტა მოისვენა და ხუთ საათზე ახალ-ქალაქს დაბრუნდა, საიდანაც მეორე დღეს ბორჯომის გზით ტფილისს გაემგზავრა. («ივერია»).



**ყოველად სამღვდლო ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ბრიგორის მოგზაურობა ეპარხიაში აკკლესიების დასახელებათ.**

მს მეოთხე წელიწადია, რაც ყოველად სამღვდლო ბრიგორი დაინიშნა ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად. თუმცა დღემდისაც ხშირად მობრძანებულია ყოველად სამღვდლო ბრიგორი ბურიაში მ. ზურგეთის სასულიერო სასწავლებლის დასახელებად და სხვა და სხვა საქმეებისა გამო, მაგრამ ეკლესიების განსახილველად კი პირველია მისი მობრძანება ბურიაში. ვ. ს. იელიის, დღით ორშაბათს, დილის ათ საათზედ, ყოველად სამღვდლო მობრძანდა ქ. მ. ზურგეთში ს. მამათი. დგან (მ. ზურგეთის მარჯა), სადაც ბრძანდებოდა მიწვეული მღვდლის ხელაძის დასაფლავებაზედ. მათმა მეუღლემ დათვლიერა როგორც შტატის, ისე ზედმიწერილი ეკლესიები. დღეში ამ საშინელ ჰაზანაქება სიტყვში ნახულობდა სამს და ხან ოთხ ეკლესიას. შველა ეკლესიებზედ გროვდებოდა დიდძალი ხალხი ორივე სქესისა და აკრეთვე ბავშვები, რომლებიც გულ მოდგინებით ისმენდნენ მწყემს მთერის გრძობიერს სიტყვას. ყოველად სამღვდლო ჯველა ეკლესიებზედ ამბობდა შესაფერ სიტყვებს; შემდეგ სიტყვის გათავებისა ბავშვებს ჰკითხავდა ლოცვებს და ურიგებდა მათ ჯვრებს და პატარა წიგნაკებს. უნჯავდა სამრევლო სკოლებს.

საკვლევითი საბუთებს, შემოსავალ გასავლის წიგნებს, და კრუშკებს, მინდობილებისამებრ ყოველად სამღვდლოისა, იხილავდა შემოქმედის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი მ. ამბროსი, კაცი ღირსი და პატიოსანი.

ყოველად სამღვდლოს ახლდა თან მცირე კრებული, ასე რომ საღმრთო ლიტურგიის შესრულებ

ბისათვის საჭირო ხდებოდა ადგილობრივი სოფლის საეკლესიო კრებულის მოწვევა. ბურის სამღვდლოება პირველად მოესწრო ამისთანა მშვიდს და შეეწუხებელ ჩამოვლას მღვდელ-მთავრისაგან და მისი კრებულისაგან.

არ შემიძლია ორიოდ სიტყვა არა ესთქვა აქვე «და თიკო მერმიცანაშვილის» წერილის შესახებ, რომელიც წავიკითხე გაზეთ «ივერის» 143 №-ში ყოველად სამღვდლოს ბურიაში მოსვლასზედ და მღვდლების მომზადებაზედ. ბურულები, საზოგადოდ, ისეთი სტუმართ მოყვარენი არიან, რომ არამც თუ მწყემს-მთავარი, არამედ უბრალო ვინმე რომ ესტუმროს მათ, დიდის სიყვარულით მიიღებენ და შესაფერად გაუმასპინძლებიან. ამიტომ, ცხადია, რომ აქაური სამღვდლოება დიდის სიამოვნებით მიიღებდა პატივცემულ და ღირსეულ სტუმარს, და არც ისე, როგორც «ივერის» კორესპონდენტი თავის წერილში ამბობდა, სამღვდლოებამ ყოველად სამღვდლო მიიღო დიდი სულიერი სიხარულით, როგორც მწყემს-მთავარი და სულიერი მამა და საქუფულოების ოჯახები არა ვითარ შეწუხებაში და დიდ მზადებაში არ ჩეკრდნილა. ხვალ სადილად რომ რომელიმე მღვდლის ოჯახში უნდა ყოფილიყო მათი მეუფება, წინდამით ცხრა ან ათ საათზე ვატყობინებდი მღვდელს თვით მე და თან ესთხოვდი, რომ დიდი ხარჯი არ გაეწიათ, რადგან ძლიერ მცირე კრებული ახლდა მათ მეუფებას. განა შეიძლებოდა ღამის ათი საათის შემდეგ ორპირში და ან მდინარეებში კალმანების და ჭუთხების დასაჭერად კაცის გაგზავნა? მაგრამ ყველამ რცის, რომ ყოველთვის პატიოსნებას თან დასდევს ცილის წამებაც, ნამეტნავათ იმისთანა ცრუ-პენტელა-მზრეკელებისაგან, როგორც ბრძანდება «დათიკო მერმიცანაშვილი».

ბლად. მღვდელი დიმიტრი ქიქოძე.



2. ს. ამ თვისას ჩვენს სოფელსაც ესტუმრა მისი ყოველად უსამღვდლოცობა ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ბრიგორი. პირველ ფეხის შემოდგმისთანავე მისმა ყოველად უსამღვდლოცობამ ყურადღება ათხავა ადგილ-მდებარეობას ჩვენის სოფლისას. სიბრალოული აღძრა იმის გულში დ. ხლართულმა მთებმა და შესუთულმა ადვილებმა, რომლებზედაც გა-



შენებულა ჩვენი სოფელი. მგზავრობის დროს დაწველილებით გამოიკითხა ყველაფერი ამ სოფლის შესახებ: როგორ ახერხებენ მუშაობას მცხოვრებლები, რა შემოსავალი აქვთ, რა ზნისა და ხასიათის ხალხია, რა ნაკლი აქვთ და რა ღირსება. ამასობაში მიაღწია იმ მთამდისაც, სადაც საყდარია აშენებული. წირვის მოსასმენად მთელი ამ სოფლის ქალი და კაცი შეგროვილიყო, რაც მეტად სასიამოვნოდ დაჩა მის ყოვლად უსამღვდელოესობას და რამდენჯერმე სთქვა: მეტად ღეთის მოყვარენი ყოფილან სწოვადოდ გურულებიო. წირვა რომ გაათავა, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელიც ზედ გამოჭრილი იყო ამ სოფლის მდგომარეობასა და საჭიროებაზე. შემთავრესი საგანი ამ მშვენიერის სიტყვისა ის იყო, თუ რამდენად საჭირო და სასიკეთოა სწავლა-განათლება, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს ღეთისაგან ქმნილი ბუნება გამოიყენოს და თავისი ცხოვრება მოაწყოს თანხმად სიმართლისა ჭეშმარიტებისაო. ამ გონიერმა სიტყვამ არა ერთსა და ორსა, სწავლაზე გულ-ატრუებულს სოფელს მოუღობო გული.

შემდეგ ქადაგებისა ყმაწვილებს პაწაწა ჯერები დაუბრუნა და წაბრძანდა დასათვალისწინებლად აქაურის კერძო სკოლისა, სადაც 92 შეგირდიდგან 60-მდე იყო თავმოყრილი (რადგან სახეფხულოდ იყვნენ დათხოვნილნი, ყველა ყმაწვილის შეგროვება შეუძლებელი იყო.) პირველად მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გამოსცადა შეგირდები საღმრთო-სჯულში, ქართულსა და რუსულ ენაში. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა მეტად კმაყოფილი დაჩა და აქაც სიტყვა უთხრა ხალხს: «თქვენის სოფლის გარეგნობას რომ შევხედე, ვიფიქრე, რომ აქ აზრისა და გონების მუშაობა ძნელი უნდა იყოს, ცხოვრება შეკრული უნდა იყოს, განათლებაც მოკლებულიო, მაგრამ, ჩემდა სასიამოვნოდ, ეს ასე არ ყოფილა. თქვენ თქვენივე თვლით ჰხედავთ და თქვენისავე ყურით გესმით, რა მშვენიერად, ცოცხლად და გაბედვით იძლევიან პასუხს თქვენი შეილები, ამ სკოლის შეგირდები, თვით ძნელ საკითხავებზედაც-კი. მთელს ჩემს ეპარქიაში სოფ. სამიქაოს სკოლის შემდეგ მეორე მაგალითის ეხედავ აქ ასე რიგად მომზადებულ და გონება-გახსნილ შეგირდებისასაო. მიხარია სულითა და გულით, რომ ამ მივარდნილს კუთხეში ასეთს სასიამოვნო ნიშნებსა ეხედავ. ხელი მოგიმართოს ღმერთმა თქვენ, ამ სკოლის დამფუძნებელნო. აკურთხოს უფა-

ლმა ეს სიცოცხლითა და სწავლის ხალისით საესე ყმაწვილები და ძალ-ღონე ნუ მოაკლოს იმათ მასწავლებელს. მუ თქვენი ზურვილიც იქნება, ეს სკოლა სამრევლოდ დაამტკიცეთ და მე ჩემს მზრუნველობასა და მთარველობას არ მოვაკლებ. დეე ეს სკოლა იქნეს მთელს ეპარქიაში სამაგალითო სამრევლო სკოლად და მე მაგისტვის ხარჯი არა მშურს».

შემდეგ ამისა რამდენსამე საუკეთესო შეგირდს უწყალობა სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთი დი საერთოდ ყველას რეგულაციის ფასად დაუტოვა საჩუქრად ერთი თუმანი ფული, მეტად მხიარული და სასიამოვნები გამოეთხოვა სკოლას და წაბრძანდა სასადილოდ. სადილზედ პირველად ამ სკოლის სადღეგრძელო მიართვა და თან დაუმატა: «წირვა რომ გავათავე, საშინელს დაღლილობას ვგრძობდი, მაგრამ სკოლიდამ სრულიად დასვენებული გამოვედი, დაღლილობა დამავიწყეს ყმაწვილებმაო.» («ივერია»).

**როგორ მძებნიან ზოგიერთნი პირნი ძველ ხელთნაწიარებს.**

თქალავის მარჯაში სცხავრობდა მღ. ე. რ—ძე, რომელსაც მამის ჩემისათვის გამოერთმია ერთი დიდი ეუთი, საესე სხვა და სხვა ხელთნაწერი წიგნებით. ამ დროს მე ერთის წლისაც არ ვუფილევივა გიდეგ-როდესაც სასულიერო სემინარიაში სწავლა დაგასრულე, მამა სმინად მეტყოდა ხოლმე, რომ ჩვენმა ნათლიამ ე. რ—ძემ ბეგრისაგან ბეგრე ხელთნაწერი წიგნები დამტეუა და წაიღოო. მე ბეგრევერ კთხოვე ე. რ—ძეს, რომ წადებული წიგნები უგანვე მოეცა, მაგრამ ის გაიფინებდა და მეტყოდა: «რას ვეწვილობ, შენ გაზდასაო». გაზდაიცვალა ის უბედური, დაჩხა ქალ-სიძე, გაზდიცვალნენ ესენიც და აი სიძეს ერთი და ჭეოლაა, რომელსაც, ნაცვლად იმისა რომ ადგილბრძვი მდგდლისათვის მაინც მიეცა წინადადება ამ ხელთ ნაწერების ვიდგა-ფე, ჩვენდა სამწუხაროდ, ადგაჩა და ერთი თქალავლის მეწვილმანისათვის მიუუიღნია მთლად ეს ხელთ ნაწერები, რომლებიც რჩი ცხენის საზაღნე გამოსულა. ამ მედუქნესაც ესეები მიუუიღნ-მიუუიღნია აქა-იქა. გავიგეთუ არა ეს, მე მაშინვე მეუდექი ამ ხელთ-ნაწერების ძებნას. ერთი თქალავის მედუქნისაგან ვიუიდე სხვა და სხვა და-

ბეჭდილი წიგნები რუსულს და სლავონურს ენაზედ. შემდეგ რის ვაი ვაგლანთი ძლიერ მივაგნე თავდა ბირველ მსიდავს და ორმოდე ხელთ ნაწერი და ვიზოვე მასთან და გამოვართვი კიდეც. აი ეს წიგნები:

1) წამება წმ. თეობრახისა და მარინასი, წამება ქეთევან დედოფლისა, ლექსად თქმული დიმიტრი ბაგრატიონის მიერ. ამ ლექსებს ჩვიდმეტი გვერდი აქვს თაბასისა. ლექსების შემდეგ იწერება ეპისტოლე ავგაროზისა, მიწერილი იესო ქრისტესთან. ეპისტოლეს შემდეგ არის თანასი აღუქსანდრიელისაგან მელქისედეკ მეთოქეზედ თქმული. იწერება შემდეგ წამება წმ. გიანესი და მოყვასთა მისთა; ბოლოს კიდეც არის ცათა მონაღვა ღვთის-მშობლისა და გამოცხადება სატანჯველთა. ეს დავითან სულ სამოცდა ცამეტის თურცელისაგან შესდგება დიდს თაბასისა.

2) წმიდისა მამისა ჩვენისა მამსიმეს თქმულთაგან, რომელსა ჭკითხვიდა თალასი ძველელ-მამასხდისი. ვითხვა მიკობით არის ნაწერი მეოთხედ თაბასისა გარგის მხედრულის ხელით, ბოლო არა აქვს და ას ცხრა ვითხვა-მიკობა არის და თურცელი ორმოცი.

3) მიცვალება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა და ცხოვრება დავით განჯეჯელისა. მეოთხედ ლურჯის ქალაქდის თაბასზედ დაწერილია და აქვს ორმოცდა შვიდი თურცელი.

4) ხუცრუად ნაწერი და შავის ტყავით შეკრული ეკლესიის განმარტება. სთაური იწერება ასე: დომენტი სანატრელი და ყოვლად წმიდა: წყალობათა ღვთისათა კათალიკოზი მცხეთისა, ქართლისა, რანისა, კასთისა, სრულად ოსეთისა, სამცხე-საათაბაგოს მაგურთხეველი, გვსწავებ ყოველთა შვილთა ეკლესიისა ჩემისათა: თუ რა არს ეკლესიას ანუ ტრანპეხი, საკურთხეველი, გინა საღვინებელი და კანკელა. წელიწადი არ უნის, მარტომ, ჩემის თქმით, ეს დომენტი მესამე უნდა იყოს, რომელიც 1705 წ. განტავდა.

5) ცნობა ისტორიული და ლეოდრაფიული. ზღაპარ სიტყვაობა. შეკრება რადენთამე ძველთა დემეტოებთა, ელენთაგან ღვთად აღსარებულთა. თარგმნილი რუსულისაგან ქართულსა ენაზე ზედა საქართველოს მეფის მის დავითისაგან. ამას აქვს სამოცი თურცელი შეოახელი თაბასისა, მხედრულად ნაწერი.

კიდეც ავგაროზისათვის. აღავერდის სობორანში ხელთნაწერას სახარების ბოლოს არის ეპისტოლე, მიწერილი ავგაროზისაგან ქრისტესთან და შავის იესოსა ავგაროზის მიმართ.

ესლა რომელი ხელთ ნაწერიც მე მაქვს, იმათ განსხვავება აქვს ერთმანეთში. მაგალითებ: ის შვიდი ბეჭდილი სახარებაში ასხნილია ასე: ჯვარი, სულთა აღდგომა, სასა ქრისტისანეთს, ცხოვრება საუყუნოდ, აღმოყვანებული ნათლად ზეცისად, ჯვარი, დიდება ქრისტესი. ამ ხელთ ნაწერში ასეა ასხნილი: 1) ჯვარი კიდრემე ცხად ჭეოფს, ვითარმედ ნებსით დამემსჯეალე მას ზედა; 2) ვითარმედ წულილი კაცი არა ვარ მე, არამედ სრული კაცი ჭეშმარიტებითა. 3) ვითარმედ განვიხივებ მე სერუემითა ზედა. 4) ვითარმედ მე ვარ დემეტო პირველი და თვინიერი ჩემის სხვა არა არს. 5) ვითარმედ ძალად ვარ მეუფე დემეტო დემეტოთა, 6) რამეთუ მისხელ ვიყავ სთესავსა კაცთასა და 7) ვითარმედ მართლ და სამაჩადისო და ცხოველ ვარ და გვიე უყუნისამდე-

გარდა ამისა სახარებაში არ არის პირი წერილისა, წარვლინებულისა იერუსალიმით ტიბერიოს მიმართ, თუბლიო ლურთულე ურასიტანის მთავრისაგან მოკლედ ამბავნი იესო ნაწარვეელისანი, ხოლო ეპისტოლე ესე დამარხვის რომისა, ბატონთა კასარიელთა მონასტრისა შინა წიგნთ საცავთა, ხოლო ლათინურთაგან ენისა გარდმოცემულია თილინეს მიერ ვისმე ლათინთა ხუცისა.

«სათანადო ყოფად სამაგებლისა თქვენისა მოგასხენებ, ჭოი კეისარო, ვითარმედ არსდროსა ამას მთავრობისა ჩვენისასა სამთავროსა ჩემსა კაცი ვინმე, რომელსა ჭკეპან იესო ქრისტე და ცხოველებს დიდითა ღვაწლითა. ესე ერასაგან წოდებულ არს წინასწარმეტყველად ჭეშმარიტებისა, განა მასნი მოწაფენი იტყვიან, ვითარმედ იგი არს მე ღვთისა, დახადებელი ყოველთა სილულთა და არა სილულთა და რაიჭა არს ცხრა და ქვეყანასა შინა, ანუ უფაილა. ჭეშმარიტად, ჭოი კეისარო, დღითი დღე საკვირველი საჭმენი ასმან ამ იესოს ქრისტესთვის, რამეთუ მკვდასსა აღადგინებს და სნეულთა განჭკურებს, ერთითა მხოლოდ სატყვიითა; იგი არს კაცი წრფელი სამართლისა და თრად მკენიერი შესედულობისა და მასის პირის სახისაგან ესოდენი დიდ შეენიერება გამოხრწინების, ვადრე მხედველი იიძულეობან მისს სიყვარულად და შიშად. მას ასხენ თიქები სრულად დამწაფებულის თხილის თერასა, მაგრამ თურცო ბწყინვალე არიან; თავზე შუაში შუბლისა თიქები აქვს ჩვეულებისამებრ ნაწარვეელისა; შუბლი მისი გამლილი არს და თრად გამოწმდილი; მისი პარის სახე არის უნაღო და უბიწო და საკადრელი თერისა-ცხვირი და პირი მისი კეთილად განსახებულ არიან; წვერი სშირია და მსკავსი თითა, არცა მეტად გრძელია, მაგრამ შუაზე გაუფაილა. მისი სილვა არს თრად





სახატო და მძიმე; მას ასხენ თვალნი ფრიად შუენიერნი და ბრწყინვალენი და გასტყერებულ ანს მისი შირის სასუ. ბრწყინვალება თურ-კითარცა მზის შუეი და ანავის შეუძლიან ხილვა მისა ბრწყინვალებისა გამო; ხოლო ოდეს დასტუქსავს, შეადრწუნებს და რაჟამს წკრთინის, ტირის; თანს უკლას შეაყვარებს და მხარულად ანის, მაგრამ სიმძიმითა; მოგახსენებენ, რომ ანვინ ანს ოდეს იგი ნახოს ვინმე მოცინარედ, გარნა ჭე მტინადად; მას ასხენ მკლავნი და სელნი ფრიად მშუენიერნი, ხოლო გარის შექტევაში ფრიად სუყვარული ანს-გარნა მკინად გამოსხნდება და როდესაც გამოსხნდება, დიას ნამუსიანი ანს სიტყვსლითა და სსქციელთა: მოკლედ მოგახსენებ, ვითარმედ იგი ანს გარც უფროსად შუენიერი, გიდრე ვისიმე მოკონება შემიძლიან და სრულად ჭკავს თავის დედასა, რომელი ანს უფროსად უკლად შუენიერი ქალი რომ იქნება და ოდესმე ამ კერძოდ გამოსხნდა; ხოლო უკეთუ ნატრობს შენი უმაღლესობა, ჭოი კვისარო, ხილვასა მისსა, ვითარცა უწინარესს წიგნს მოგწერთ; ნამდვილი სიტყვა მიბრძანეთ, და მალე გაახსებთ, ხოლო ამის უკლავის წკრთინის ცნობის საქმე განაცვიფრებს უკლავსა იერუსალიმის ქალქს, რამეთუ მან იცის უკლავი მტინიერება და ანს ოდეს რაი უსწავლია ვისგანმე. იგი დადის ფესთ შიშული და თანე შიშული და ამისთვის მისის ხილვასა, განსჯიცხვენ ვითარცა გარდარეულსა, გარნა მის თანა უფიითა და თანა ლაზარკითა ათთრთოლებს გაცთა და გასტყერებს. ჭეშმარიტად ამისი მსგავსი გარც ანს ოდეს გამოხენილს ამ კერძოთ და ებრავნი მოგახსენებენ, ვითარმედ ანს ოდეს ესმით განზრახვა, გინა რჩევა ესოდენ სწავლისა, ვიდრე რჩევა იგი იესო ქრისტესისა; რომელნიმე ებრავლთაგანნი ჭგონებენ დეთიურად სწამთ, გარნა მრავალნი სდრტკინვენ ამისთვის და იტყვიან: ვითარმედ ესე წინა აღმდგომობს უმაღლესობასა თქვენსა; მე მძიმედ შეწუნებული ვარ ამ უკეთურთ ებრავლთაგან; მოგახსენებენ, ვითარმედ მას ანს ოდეს საწყენი რაი არავისთვის უქნია, გარნა უკლავნი მტინებელი მისნი და მისთანა მქტეველნი იტყვიან, ვითარმედ დიდნი კეთილნი და გურნებანი მისგან მიიღეს, ხოლო მე ფრიად მზავარ მოწინილებად შენდა, რასაცა მიბრძანებ ამ იესოს ქრისტესთვის, ის აღსრულებული იქმნება. მშვიდობით იუყენ.

აღიწერა მეშვიდის საურის (სამეფო ხარჯის) კრეფასა მეორეს მთვარეს უმაღლესობისა შენისა».

მლ. მიხ. ხელაფი.

ლრამატიკა მეცნიერებათა თუ ხელოვნება.

(გაგრძელება \*).

პროტიკოსის წამდაუწუმ მეცნიერების ხსენებამ მოგვაგონა ერთი შემთხვევა განსვენებულის პლატონ იოსელიანის ცხოვრებითგან. ერთხელ მასთან მივიდა მისი ნაცნობი უმაწვილი კაცი და დაეკითხა: საზღვარ გარეთ მინდა წასვლა და რას მიჩივო.—ბიჭო, რა გინდა საზღვარ გარეთ? აქ ვერ დაეტიეო?—მეცნიერება უნდა შევისწავლოო თვით სათავეში, მიუგო უმაწვილ-კაცმა.—მერე იცი, რა არის მეცნიერება? აი, გაიხედე: ვეგრ ვირი აზია, ავერ ხარი ბალახს ძოვს, იქ ვაშლი ხილვან ჩამოვარდა, აქ ქვა გლია... ეს სულ მეცნიერება არ არის? რალა მაგისტვის საზღვარ გარეთ მიღიხარ..

ეს ფილოსოფოსის ირონია «სერიოზად» ხომ არ მიიღო ჩვენმა კრიტიკოსმა, რომ ყოველს ფეხის გადადგმაზე მეცნიერება ებლანდება. აი რას ნიშნავს ფართო მიმომხედველობა, აი რა არის გენიოსობა, მაგრამ ამისთანა შეხედულობით შებორაკილს, ჩვენს კრიტიკოსს ველარ გაუგია, რით სხვაობს მეცნიერება ე. წ. ლიტონ ცოდნათგან. ძნელი წარმოსადგენია, ახალგაზდა კაცმა ოთხი წელიწადი უნივერსიტეტში დაყოს (თუნდ ნევის პროსპექტი ხეხოს), ოთხი კიდეც სხვა თვით განათლების კერაზე, პარიფში; იქ ხელი ითფოს (თუნდ იქაურს ყვანანებში და ბულვარებზე იბოლიალოს), მეცნიერულის მიზნით და ყური ველარ მოკრას მაინც იმას, თუ რასა ქვია მეცნიერება.

ბ. პარიჭაშვილს ჩვენ მაინც ვერას გაუწვილებთ. მას ყოველივე მეცნიერება აქვე ვგულვებოდა და იმის გულისთვის სხვაგან რათ წავიდოდა. იგი იყო პეტერბურგს და პარიჭს მხოლოდ ქართულის ენის შესასწავლათ. შეუსწავლია კიდეცაც, გამოუვონია ახალი ქართული ენა და ლმერთმა უშველოს, შემოგვძღვნა კიდეცაც.

ჩვენ ვიცნობთ რამდენსამე ჩვენებურ უმაწვილ კაცებს, საზღვარ გარეთ განსწავლულებს და მათთან საუბარი, მათი დაწმინდაებული სიტყვა-პასუხი, მათი განათლებული შეხედულება ჩვენს ცხოვრებაზე, მათი შეძლებისდაგვარი მოქმედება სამშობლოს ნიადაგზე

\*) იხ. «მწყემსი»-ს № 14.

ფრიად სასიამოვნო და სანუგეშოა. ეს არის იმის გამო, რომ ეს ყმაწვილები «მოღის» გულისთვის როდი წასულან, არამედ მკაცრად განსაზღვრულის გეგმისაებრ და გარკვეულის მიზნით. შეუსწავლიათ ზედმიწევნით ესა თუ ის მეცნიერება თეორიულათ და პრაქტიკულათ, მიუღიათ ამასთანავე საზოგადო განათლება და გამოფოლადებულნი მობრუნებულან სამშობლოსაკენ. ეს გარემოება სასოებას აღვიძებს კაცის გულში. მაგრამ ამასთანავე არიან ისეთნიცა (სანუგეშოთ—ერთი-ორი), რომელნიც მარტო ფეხის ხმას აყოლიან, მეცნიერება აქვე დაუტოვებიათ, უცხოეთში მარტო უზრდევლობა და როყიობა შეუძენიათ, მოსულან და გაიძახიან: «ვინა ყრიხართო, საითგან კნაერთო!...»

მაგრამ ჩვენ ვცდებით. ბ. პარიჭაშვილს ერთი და მეცნიერება ვერ უპოვია ჩვენში და იმის საძებრათ თურმე წასულა. ეს მეცნიერება არის ქართული ენა საერთოთ და კერძოთ—ღრამატიკა. საუბედუროთ ასეთი მეცნიერება საზღვარ გარეთაც არ აღმოჩენილა და ახლა თვითონ დაუფუძნებია ღრამატიკის მეცნიერება; წამოუყიდნია ზურგზე, მოსულა და აი დაგვაბერტყა კიდევ თავზე. წარმოიდგინეთ ჩვენი უმეცრება: ჩვენ დღესაც ღრამატიკა მეცნიერებად არ მიგვაჩნია, ისეთი «ვიწრო შეხედულებისანი» ვართ. რაფუყოთ: ჩვენც ჩვენი მოსაზრება გვაქვს ჩვენი უმეცარი ქვეყნისგან შთაგონებული და ვერ დავმაღაფთ, რომ არ წარმოვთქვათ.

ღრამატიკა რომ მეცნიერება იყოს, მას ექმნებოდა თავისი ისტორია: ვინ და როდის დააფუძნა იგი, რა წარმატების ხარისხები გამოუვლია მას, რა წერტილზე დგას დღეს, შიგ რა აუხსნელი საკითხები არის წინ წამოყენებულნი შემდგომ თაობათა საკვლევად და რამდენი ხანი გამოიარა. ჩვენი კრიტიკოსი გააფრთხლება და შემოგვიტყვეს: ასეთი ისტორია აქვს ღრამატიკას, მაშ არაო? ჩვენ კი მაინც ვტყვიით, რომ არ აქვს. ღრამატიკის ისტორიას ისტორია არ ქვია. მისი ისტორია ისეთი ჩვეულებრივია, როგორც რომლისამე წიეთის, როგორც ყოველის დღით-დღითური მოვლინების. აი თუნდ ავიღოთ თქვენის შლიაპის, ან პენსნის ისტორია... პენსნე ეგე გაკეთებულია ამა და ამ ქარხანაში, ნაყილია ამა და ამ მაღაზიაში ამა და ამ კაცისგან და წამოიხსულებს თვალზე მამინ, როცა მეცნიერულათ რისიმე განსჭვრეტა უნდა, ან ცხვირის მაღლა აწევა და ჩამოიხსნის, როცა «გაკვირება» უნდა... ისტორია, მა რა დარდუბალა!

ღრამატიკის ისტორიაც ბევრით არ სხვაობს პენსნის ისტორიისგან თავისი სიმოკლით. აი თუ.

სწავლულები გონებენ, რომ ძველს ინდოელებს უნდა ქონოდესთ დათხზული ღრამატიკა, მაგრამ ჯერ ვერ გამოუკვლევიათ, როგორი და როდის უნდა ყოფილიყოს ეს ღრამატიკა და ვისი შედგენილი. თქვენ უეჭველია გამოკვლეული გექმნებათ, რათგან ღრამატიკის მეცნიერება დაგიფუძნებიათ. ისტორია (ლიტერატურის და არა ღრამატიკის) და ენათ მეცნიერება იცნობს პირველის ღრამატიკის შემდგენად მარტო დიონოსი ფრაკიელს, რომელმაც ორი ათასის წლით ამას წინათ დაწერა ბერძნულის ენის ღრამატიკა რომაელებისათვის. დაწერა წმინდა საპრაქტიკო მიზნით: რათა რომაელებისთვის გაეადვილებია შესწავლა ბერძნულის ენისა, რაზედაც ეგულებოდათ დაწერილი მდიდარი ლიტერატურა. მიზანი თუ საპრაქტიკო იყო და არა სამეცნიერო, ეს ხომ წინააღმდეგია მეცნიერების ბუნებისა. თუ მეცნიერება საპრაქტიკო მიზანს მისდევს, ის მეცნიერება აღარ არი. მეცნიერება მხოლოდ მეცნიერებისთვის არის გაჩენილი. მართალია მისის ნასაქმით პრაქტიკი ხშირათ სარგებლობს, იძენს ათასს რამეებისთვის სამარჯულო იარაღს, მანქანას, ხელსაწყოს, წამალს და სხ. მაგრამ ესენი ხომ არ გულებია თავითგან მეცნიერს. ეს მეცნიერების უნებური შედეგია და არა მიზნი. ღრამატიკა კი პირიქით საპრაქტიკო ცოდნა დღესაც და იმთავითვე საპრაქტიკო მიზნით შემოიღო პირველმა ღრამატიკოსმა. იგი მეცნიერებისგან არას სარგებლობს. პირიქით თუ ღრამატიკაში ფილოლოგიური და ლინგვისტური წერილები შეურიე, ეს დიდი ხანია დაწუნებულია პედაგოგებისგან. პრიტიკოსს შეეძლო ესევე ესაყვედურებია «სწორმეტყველების» ავტორისთვის, მაგრამ ამაზედ აი რას მოვახსენებო: წიგნი შედგენილია სწინჯად და ამიტომ, რაც პირდაპირ ღრამატიკას არ ეკუთნის, არამედ საერთოთ სწორ მტყველობას; რასაც პოლემიკური და დროებითი ხასიათი აქვს, ესენი ყველა წერილი ასოებით არის დაბეჭდილი და მასხალამე ბავშვებისთვის არაა მოყვანილი. იგინი არიან დაწერილი «დიდის ბავშვებისთვის». ბევრი ამისთანა ადგილთაგანი შემდგენისთვის გამორიცხული იქმნება წიგნითგან.

შეიძლება შევნიერო ღრამატიკა დაწეროს კაცმა და სრულიად მეცნიერი არ იყოს. მაგალითი ათასია, რათგან, საერთოთ, ღრამატიკებს აღგენენ არა მეცნი-




ერნი. ღრამატიკა, როგორც მწყობრი რამდენთამე დაკვირვებათა, მხოლოდ მასალას და საბუთებს აძლევს არა მარტო ენათ მეცნიერებას, არამედ სხვათაც; ან-ტროპოლოგიას, ეტნოგრაფიას, ისტორიას, ლოლიკას და სხ. მაგრამ ისეთი მეცნიერება არაა, რომელშიაც ღრამატიკა მთლათ შედიოდეს. მეცნიერება ღრამატიკით ისე სარგებლობს, როგორც სხვა მრავალგვარის ცოდნით, თუნდ ეს ცოდნა სამეცნიერო მიზნით არც კი იყოს მოპოვებული. თვითეთულის მეცნიერებაში არის აღებული რამე იდეა და რაც ამ იდეას დასაბუთებას ხელს უწყობს, მხოლოდ იმას შემოიკრებს ხოლმე მეცნიერება. ასევე ექცევა მეცნიერება ღრამატიკასაც, თუ მასში ჰოვა რამე თავისი ხელსაყრელი. მაშასადამე ღრამატიკა მეცნიერება არ არის და ბ. ძარიჭაშვილს უნდა მოგვატყუოს. ეს ერთი.

თვითეთული მეცნიერება თავისის დაარსების დღითგანვე ვითარდება, ხან შეჩერდება, ხან წარმატებაში შედის, ფართოვდება, ზოგჯერ მთლათ გადიქმნება,—აქვს თავისი ხანაები. ღრამატიკას რაღა ცოდნა ეკითხა, რომ ერთსა და მასვე წერტილზე დგას ეს ორი ათასი წელიწადია და ხიხი ვერ ქნა. ამ ხნის განმავლობაში უამრავი ღრამატიკა დაწერილა, მაგრამ ყველა დიონოსი ფრაკიელის ღრამატიკის ყალიბზედვე არის გამოჭრილი. სხვაფრივ არც შეიძლება... ღრამატიკას რომ მეცნიერების ნიშანწყალი ქონდა, ახალს მეცნიერებას რაღათ დაფუძნებდენ. ამ საუკუნის 50-ე წლებში დაფუძნდა, თქვენ რომ ღრამატიკას ეძახით, ის მეცნიერება. იგი შექმნა გერმანელთ გონებამ მაშინ, როცა გასახიერდენ გლმანური მეცნიერებანი, ძველი და საშუალო საუკუნეთა ისტორია, მართლმადიდებლის ისტორია და სხ. ამ ახლათ დაფუძნებული მეცნიერებისათვის დრამატიკა როდი დაურქმევიათ. მას დაარქვეს ენათმეცნიერება, ანუ «მეტნიერება ენაზე», რომელსაც აქვს თავისი რტოები: ლინგვისტიკა, ფილოლოგია, ფონეტიკა და სხ.

რომელი მეცნიერის წიგნი გინდა, გადაშალე, ორ-სამ გვერდს რომ წაიკითხავ, იქვე შეგხვდება წამოყენებული რომელიმე საკითხი, რასაც ჯერ განმარ-

ტება არ ღირსებია და შემდეგს მკვლევარს მთელის. რაც უფრო განზოგადებაში შედის მეცნიერი, რაც უფრო შორს და შორს გადგამს მეცნიერების ზღუდეს, მით უფრო ხშირდება შემთხვევები, რომელნიც თბოულობენ შემდგომითი-შემდგომადს შემუშავებას. მეცნიერი თანდათან რწმუნდება, რომ მისს კვლევას საზღვარი არ აქვს და მისგან აღებულს იდეას აქვს აუბრებელი დამამტკიცებელი საბუთი. ვერავითარს ამისთანას ღრამატიკაში ვერ შეხვდები; მას აქვს მიჯნა, რასაც ვერ გადაცილდები; ღრამატიკაში ყოველი საჭირო კვლევა გამთავე არი და დასრულებული. ღრამატიკას არ ეთქმის: ხვალ ამას იქით იკვლიეთო. ღრამატიკაში უკვე დამთავრებულია ფორმალურის მნიშვნელობის ქეშმარიტებათა და წესთა წყობა. თუ ასე არაა, მაშ დაგვისახელეთ ბ. ძარიჭაშვილო, რა კითხვებზედ არის დღეს შემდგარი ეს თქვენგან აღმოჩენილი ღრამატიკის მეცნიერება! მერას დაგვისახელებთ და თუ დაგვისახელებთ, რგი უთუოდ ღრამატიკის საქმე არ იქმნება. არამედ ენათმეცნიერების და მისთ განრტოებათა. მაშასადამე ცდებით კრიტიკოსო, ცდებით.

მეცნიერებაში არი შესული ბევრი რამ ისეთი ნაცადი და დაკვირვება, რაც შეძენილია თავდაპირველ სრულიად უგანზრახვით, არა სამეცნიერო მიზნით. ეს იმიტომ, რომ მეცნიერებულის კვლევის დროს, ისინი საჭირო გამხდარან. მეცნიერებაში ერთი ფაქტი მეორისაგან გამოდის, ერთი მეორეზედ არის დამყარებული ლოლიკურათ. მასში დანაწყევტებული ცნობები გროვათ არ შეიძლება. სრულიად სხვაა ღრამატიკაში. აქ ძნელათ თუ, ერთი კანონი, ერთი ფაქტი მეორისგან გამოდის ხშირათ შიგ არის დადგენილი რომელიმე წესი, კანონი, რომლის საფუძვლის განმარტება და მიზეზის ახსნა ღრამატიკოსის საქმე არ არის. ღრამატიკოსი გეტყვის მხოლოდ: ეს ასეა და რა მიზეზით—იმას აღარ. მეცნიერებაში მეტი არა არის რა. ღრამატიკაში ბევრი ისეთი დაკვირვებაა შესული, რაც ერთის მეცნიერებისთვის გამოსადეგი არაა, რათგან მიზანიც ამ გვართ დაკვირვებათა სრულიად საპრაკტიკოა და არა სამეცნიერო.



ღრამატიკის ცნობები ერთიმეორისგან არ არიან ლო-  
ლიკურათ დამოკიდებულნი. ამიტომ შეგიძლია სინ-  
ტაქსი დასხა წინ, შეგიძლია ეთიმოლოგია, შეგიძლია  
ერთი მეორეში აურიო, კონცენტრიულათ შეადგინო.  
მსეც კიდევ იმისგამო არის, რომ ღრამატიკაში სა-  
ერთო იდეა არა არის რა გატარებული, არის მხო-  
ლოდ საპრაქტიკო მიზანი: რომ კანონიერათ ილა-  
პარაკო.

თვით მეცნიერების ლოლიკურის ბუნებისგან  
გამოდის, რომ მეცნიერება არ უნდა შემოიზღუდოს  
მარტოკა ფაქტების აღწერით. როგორც პროტოკო-  
ლური აღწერა რისიმე ხელოვნებას ვერ შეადგენს,  
თუ ამ აღწერაში არ არის რომელიმე იდეა გატარე-  
ლი, აგრეთვე მეცნიერებას არ შეადგენს ფაქტების ჩა-  
მონუსხვა. მეცნიერება ფაქტებს ერთმანერთთან ადა-  
რებს, იგნებს მათს ურთიერთობას და მით აღმოაჩი-  
ნებს სამარადისო მოქმედ რჯულებს, რომელთაგანაც  
იმართვიან მოვლინებანი. ღრამატიკა კი ჯერდება  
ფაქტების ჩამოთვლას და მათს დალაგებას ისე, რომ  
ადვილი დასასწავლი იყოს. ამას იქით ღრამატიკოსი  
არ მიდის.

ღრამატიკოსი ურომობს ვიწრო სფერაში, მისი  
საქმობითი წრე მკაცრათ შემოსხდულია და არ სა-  
ჭიროებს, ბევრი იფიქროს ღრამატიკაზე, როგორც  
ერთობილს, გარმონიულად შეწყობილს რაზნდმე.  
ღრამატიკოსი არის მაკეთებელი, შავი მუშა და არა  
შემომქმედი. ღრამატიკა არ არის გაჩენილი და შექ-  
მნილი, როგორც თვითეული მეცნიერება, გინა ხე-  
ლოვნება, არამედ იგი არის შეგროვილი და შემო-  
კრებილი ცოდნა, დაკვირვებანი. თუ ამას გადაცდა  
ღრამატიკოსი, მას ღრამატიკოსიც აღარ ქვია. მაშა-  
საღამე ღრამატიკა მეცნიერება არაა და ჩვენი კრი-  
ტიკოსი ტყუილათ ბერავს მას.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

როგორც წინათაც გვქონდა გამოცხადებული  
ჩვენს გაზეთში, ამა თთვის 11, 12 და 13 რიცხვე-  
ბში კრება ჰქონდა მ. მუთაისში იმერეთის ეპარქიის  
სამღვდელოების დეპუტატებს სასულიერო ოთხ-კლას-  
სიანი სასწავლებლის და სხვა საქმეების შესახებ.  
სასწავლებლის წარსული წლის ხარჯის განსახილვე-  
ლად და შესამოწმებლად კრებამ დანიშნა სარევიზიო  
კომისია; მომავალ წელში სასწავლებლის შესანახავად  
საქირო ხარჯთა აღრიცხვა (СМѢТА), რომლითაც ით-  
ხოვებოდა სამღვდელოებისაგან 14,000 მანეთამდე,  
დეპუტატებმა დაამტკიცეს. დასაწყისი მოსამზადებელი  
კლასები, რომლებიც წარსულს წელში დახურა სა-  
მღვდელოებამ სასწავლებლის სამმართველოს წინა-  
დადებით და თხოვნის თანახმად, წელს ხელახლად  
გახსნეს. ამასთან ამ კრებამ ერთი მეტად კეთილი და  
სასარგებლო საქმე დაადგინა. ძრებამ გადაწყვიტა ორ  
კლასიანი ეპარქიალური საქალგო სასწავლებლის  
გახსნა მოსამზადებელი კლასებით მათი მეუფების  
იმერეთის ეპისკოპოსის მადრიელის ხანგრძლივი და  
ნაყოფიერი სამსახურის აახლოვრად. დაწვლალებითა  
აღწერა ამ კრების ანგარიშისა იქმნება შემდეგ ნომერში.

\* \*

უწმიდეს სინოდთან არსებული სამოსწავლო  
კომიტეტი აცხადებს, რომ სასულიერო აკადემიებში  
კურს შესრულებულნი 1885 წლიდგან დღემდე  
იმდენია უადგილოდ დარჩენილნი, რომ არას-  
ფერი გზით არ შეიძლება ყველა მათ ადგილები მი-  
ეცესთ ახლო მომავალში ოთხ-კლასიან სასულიერო  
და სემინარიებში თავისუფალი ადგილების უმქონე-  
ლობისა გამოო. ამიტომ ხსენებული კომიტეტი ურ-  
ჩევს მათ მიიქცნენ ეპარქიის მღვდელ-მთავრებთან და  
ითხოვონ მღვდლის ადგილები, ანუ აღმზრდელების  
(назиратели) ადგილები ოთხ-კლასიან სასულიერო  
სასწავლებლებში და სემინარიებში. ამავე პირთ ნე-  
ბა ეძლევათ ითხოვონ მასწავლებლების ადგილები  
საეკკლესიო-სამრევლო სკოლებში, სადაც სამსახური  
ჩათვლებათ პენსიის მიღების საქმეშიო.

შს განცხადება, ჩვენის აზრით, საყურადღებოა  
ჩვენი სამღვდელოებისათვის და იმ აკადემიელ მასწა-  
ვლებლებისათვის, რომელნიც ნიადავ ჯამაგირის მო-  
მატებას სთხოვენ სამღვდელოებას და არ კმარობენ  
700 და 900 მანეთს.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ვითარებაზე.

## სიტყვა,

თქმული მისი ძალად ყოვლად უსამდგდელოების, საქართველოს ექსანხოსის პაპადისძიერ ღვთისმშობლის მიძინების დღეს 15 აგვისტოს სიონის ტაძარში.

გინაროდენ, განარებულო, რომელმან მიძინებასა შინა შენსა არა დაგვაგდე ჩვენ.

დღეს ჩვენ, საუკრელო ძმანო, ბრწყინვალედ ვდღესასწაულობთ დიდსა და დიდებულს საღმრთო დღესასწაულს ყოვლად გურთხეულის დედოფლის ჩვენის მიძინების დღეს სადიდებლად და მოსაგონებლად. დღეს არის ძალად ბრწყინვალე საგანგებო დღესასწაულობა ამა ჩვენის ძველის, დიდებულის საქართველოს მატინებში შესანიშნავი ტაძრისა, რომელიც ადგებულა მთელი ქრისტიანთა ნათესავის და ჩვენი ივერის ყოვლად ძლიერის ერთგული შუამდგომლის წმ. მარამ ღვთისმშობლის სახელზედ. მწუხრზედაც და აწ განთიადზედაც ჩვენ კეთილმშენიერი და საღმრთო სადიდებელი სასულიერო საგალობლებით ვადიდებთ, ვუგალობთ და ვაქებთ ღვთისმშობელს, მივმართავთ რა მას ცხოველის სარწმუნოებით და მხურვალე ლოცვითა და კედრებითა, ყველა თავის საჭირებისამებრ, თითქო ჩვენთან ერთად იმყოფებოდეს იგი.

მაგრამ განა ჩვენთან არის იგი ყოვლად მოწალე ღვთისმშობელი და ყოვლად ძლიერი შუამდგომელი ჩვე-

ნი? უუკადიდებს იგი ხმას ლოცვათა ჩვენთა? მიიღებს ის ალექსილთ მისდამი სადიდებელთა, თხოვნათა და სამადლობელთა ჩვენთა? ისმენს გულითადაც ოხვნა-კვნესათა თავიანთ მორწმუნე შეილთა, რომელიც (ოხვნა-კვნესანი) დალაღებენ მისდამი?

ქო, ჩვენ რომ ისეთი მახვილი და შოხს მჭკრეტელი სულიერი თვალი გვქონდაც, როგორც ნეტარს ანდრია ქრისტესძიერ რეკენსა ქქონდა, შეიძლება, ჩვენც თვალ-და-თვალ კიხილაგდით ყოვლად წმ. გურთხეულს და ყოვლად მოწალეს ღვთისმშობელს, მლოცველს ჩვენთა და ჩვენთვის ქაქში და დამთარველს ჩვენსას ანაფოროთა თვისითა. ჰო, ვითარ გამოუთქმელ, საკვირველ და ყოვლად სასანახოლო იქმნებოდა იგი სილვა! მაგრამ ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავთ, და ქქმუნენ (იოან. 20, 29). ვითარც შეილთა სარწმუნოებისა, ჩვენ უნდა გვრწამდეს, რომ ღვთისმშობელი ახლან არის ყველა მორწმუნეთაგან, რომელნიც მოუწოდებენ მას ჭეშმარიტად. ამაღლდა რა უზენაესად, ცათა შინა თავის ძესთან და ღმერთთან, იმან არ შესწავილა კავშირი მორწმუნეთა თანა, ანამედ შეიქმნა კიდე უმეტეს ჩვენ ძლიერ წარმომადგენლად და შუამდგომელად, დაუძინებელ მლოცველად ჩვენთვის. იგი ჩვენთანა არს, თუ ჩვენ გულწრფელნი ვართ, სარწმუნოებით და უეტველის სასოებით საღმრთისაგან გულისა ჩვენისა აღკვავებთ მისდამი ლოცვათა და კედრებთა ჩვენთა.

ღიად, ჭეშმარიტად ღვთისმშობელი ჩვენთანა არს, უკეთუ ჩვენ მთლად და მტკიცად გვრწამს და შეურყევლად აღვიარებთ წმ. მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას, უკეთუ იგი გვსედავს ჩვენ, რომ შეურყევლად მივალთ ნათელსა შინა ღვთაებრივის ჭეშმარიტებისასა, უკეთუ არა მარტო გარეგნად თაყვანსა ვსცემთ ღმერთსა, წმიდა სამეობით დიდებულს, ანამედ სულითა და ჭეშმარიტებითა, გონიერად და კრძალვით.

ჩვენთანა არს ღვთისმშობელი, უკეთუ ჩვენ მთელის გულითა და მთელის სულითა გვიყვარს სრულიან სიყვარულით ძე მისი, უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, უკეთუ ჩვენ გვაქვს და ცხოვრებაში გამოვიჩენთ იმ კრძალულებას, იმ მაცხოვრებელ შიშს, იმ

უსაზღვრო ერთგულებას, რაც უნდა გვექონდეს ჩვენ მისადმი, როგორც ჩვენი მეუფის უფლისა და მაცხოვრისადმი, — ვდიდები ჩვენი კეთილის მყოფელებისადმი, უკეთეს ჩვენ ვსცდილობთ, რამდენიც შეგვიძლია, სვლას ვაკლასა ვედა მისსა და უკეთეს მასში ვიგულებით სრულს ჩვენს ბედნიერებას და ნეტარებას.

დედა ღვთისა ჩვენთანა არს, თუ ჩვენი სარწმუნოება არის ცხოველი, მოძქედი და არა მკვდარი, თუ ჩვენი სარწმუნოება გამოისახება არა მარტო სიტყვაში, არამედ ცხოვრებაში, კეთილ საქმეებში, — საქმეებში სიყვარულისა ღვთისადმი, მოყვასთაადმი და თავისადადმი.

დედა ღვთისა ჩვენთანა არს, თუ ჩვენ მთლად მინდობილი ვართ წმიდა მართლმადიდებელს ეკლესიას. ყედ, არ განვუშორებით სარწმუნოების ერთობას და მასთან ვაკვიდრებით, თუ ჩვენ ვემორჩილებით ეკლესიის მაცხოვრებელს ხმას, დღესსრულებით მის მტრებათა და წესდებათა, სშირად დაკვირვებით წირვა-ლოცვაზედ, გულწრფელად და კრძალოვით ვსარგებლობთ მისი საიდუმლოებით.

დედა-ღვთისა ჩვენთანა არს, თუ ჩვენ ღირსიუფლად ვაქვით და ვადიდებთ მას, ვითარცა დედოფალს ცისა და ქვეყნისას, უზატოისნესად ქერაბიმთასა, ვითარცა სულიერ ტახტს ადიდების მეუფისას, ცხოველს კიდობანს ყოვლად წმ. სულიასს, ვითარცა გურთხეულსა და დიდებით შემოსილს უმეტეს ყოველთა ქვეყნად შობილთა, რომელიც ღირსი შეიქმნა მსახურებად უდიდესი საიდუმლოების ღვთის ძის განსორციელებისა.

დედა ღვთისა ჩვენთანა არს, თუ ჩვენ გვწამს ჩვენი ცხოვრება, თუ გვწამს, რომ იგი, შემდეგ მიძინებისა არ მოაკლვებს კაცთა ნათესავს თავის შუამდგომლობას, რომ მისი შუამდგომლობა დიდ შემწეობას მოგვტრებს მის ძის წინაშე, წინაშე ღვთისა ჩვე-

ნისა, რომ იგი არის მეოხება ქრისტიანთათვის არა სარცხვენელ, შუამდგომელი წინაშე შემოქმედისა უტყუარი, რომ იგი არის უსასოთა სასოება, მწუხარება ნუგეშისმცემელი, მშიერთა გამომზრდელი, სნეულთა მკურნალი ცოდვილთა ცხოვრება, ყოველთა მოწმუნეთა შემწე და შესავდრებელი.

დედა ღვთისა ჩვენთანა არს, თუ ჩვენ ვსცდილობთ მიუბძვით იმ სთნობათა, რომელნიც შეამკობდენ მას უმადლეს ხარისხად, — მსურველ სიყვარულს ღვთისადმი და ღოცვას, დრმა კეთილ-მსახურებას, სრულს მინდობალებს ღვთის ნებასადმი, სიწყნარეს და სიმშვიდეს, სიწმიდეს და უბიწოებას, მოთმენას და სიმშვიდეს და თავის შეკავებას.

ესრედ, სიყვარულთა ძიანო, დედა-ღვთისა ჩვენთანა არს ყოველთვის, და განსაკუთრებით წმ. ტახტებში, ჩვენ მასლობლად, თუ რომ ჩვენ ღირსი ვართ ამისა. ჭო, რა დიდი გამოუთქმელი ბედნიერება და ნეტარება, რომ იგი ყოვლადკეთილ-ძლიერი დედოფალი ცისა და ქვეყნისა, ჩვენთანა არს! მრავალი, ძლიერ მრავალი საჭიროება, უბედურობა და მწუხარება გვაქვს ჩვენ. ახა ვინდა შეგვეწვევა ჩვენ მრავალ ჩვენს სულიერსა და სორციელს საჭიროებაში, ვინ გადაგვარჩენს ჩვენ ამდენ უბედურებათა და მწუხარებათაგან, თუ არ ყოვლად სასიერი და ყოვლად მოწალე დედა-ღვთისა? უბრალო მართალი კაცის ღოცვას თუ ბევრი შეუძლია ღვთის წინაშე, — უფრო მეტი არ უნდა შეეძლოს ღოცვას ყოვლად წმ. ქალწულის ღვთის-მშობლისას მის ძისა და ღვთის წინაშე მათთვის, ვინც მისადმი მიჰმართავს სარწმუნოებითა და სასოებითა? იგი არის უწმიდესი წმიდათაგან, უმეტესად იგი არის დედა ქრისტესი ღვთისა. ამისათვის, რასაკვირველია, იმას აქვს, დიდი დასწლოება და გაბედულება ღვთის ტახტის წინაშე, იგი დედოფალია ყოვლისა მძინილებისა, იმას თვით აჩუკლონი ემორჩილებიან და

მისწერებენ, ამიტომ მის სელშია ყოველი საშუალება და სახსარი შესაწევნელად ჩვენს ყოფილს ჩვენს საჭიროებაში და გაჭიმობაებში. მეორე მხრით, იგი არის ჩვენი ნათესავი, იცის სრულიად ყველა ჩვენი საჭიროებანი, ყველა უძღურობანი ჩვენი ბუნებისა და, ამასთანავე, არის კეთილ-მოწყალე და კაცთ-მოყვარე დედა არა მარტო ქრისტი მაცხოვრისა, არამედ ყოველთა მის მოწოდებულთა. ამიტომ არავინ, ვინც კი მიჰმართავს ქალწულ მარიაშს საწმენოებითა და სასოებით, არ წავა მისგან უეუწყადღებოდ.

მაგრამ, მძნო, უბედურებაანი და მწუხარებაანი ეწვიან არა მარტო კერძო პირთა; ისინი ეწვიან სხივად მთელ ქალაქთა და სოფელთა, თათქმის მთელ ქვეყნებთა და სამთავროებთა. მიმივდ და არა ერთხელ ტანჯულს ჩვენი ძვირფასი სამშობლო — რუსეთი და ივერია, მკავალი უბედურება და მწუხარება დაითმინეს მამულის ჭეშმარიტ შეილთა და ერთგულ შეილთა წმ. მართლ-მადიდებელი ეკკლესიისათა; მკავალი დიდი და თავდადებული დეაწული შეასრულეს მათ, მკავალი ცრემლი და სასწული თვისი დასთხიეს მათ, და მაინც შეძლევ ყოველ უბედურებათა ისინი აღსდგებოდენ ხოლმე ახალის ძალითა, ახალის ძეკვამოსილის დღესასწაულობით. ვინ იხსნა და ვინ იხსნის ყოველთვის ერთგულ მამულისა და ეკკლესიის შეილთა? ვინ იფარავს და იცავს თვათ ეკკლესიას და ქრისტეს მოყვარეს და ღვთაჲ-დებნულს ჩვენს სამშობლოს, თუ არა ყოველად წმიდა ქალწული ღვთისმშობელი, ყოველად კეთილ-ძლიერი და მოწყალე, ვითარცა დედა ყოველად შემძლებელისა მეფისა? ამიტომაც ასე მკავალი ტამარა ღვთისმშობლის სახელზედ ჩვენს ვრცელსა და ფართო სამშობლოში. ამიტომაც ასე ბეკრი ბრწყინვალე დღესასწაულები სადიდებლად ჩვენი ზეციერი მფარველისა და შუამდგომელისა და ასე ბეკრი რუსეთისა და ივერიის სხვადასხვა ადგილებში წმ. სასწაულთ-მოძქმედა მისი ხატები, ახვესტა წმ. სიონის ხატაც ბრწყინავს ღვთაებრივის სასწაულ-

ლებით. მასთან არის მადლი და ძალა ღვთისმშობლისა, ამიტომაც ბეკრი მოწოდებულ სულნი ასე გულმოდგინედ ეკედრებიან მას ღვრცითა და თხოვნებითა და მიიღებენ მისგან თავის დროზედ შემწეობას თავიანთ საჭიროებაებში, განკურნებას თავიანთ სენთა, შემსუბუქებას მწუხარებათა და ყოველსა კეთილსა და სასარგებლოს თავისი საჭიროებისამებრ.

ვიხაროდეთ, მძნო ქრისტეანო, რომ დედა-ღვთისა ჩვენთან არს თვისი ძალითა და მადლითა ყოველ დღეს, ყოველს შემთხვევაში და გაჭმე ჩვენის ცსოგობისა — კერძოდ და საზოგადოდ, მწუხარების და სიხარულის დროს. მაგრამ თავის სიხარულის დროს განსოვდეთ, რომ დედა ღვთისა ჩვენთანა არს, თუ რომ კი ჩვენ მისი დიხსი ვართ. იგი მოგვივლენს უშრეტელ წყალობათა, წინდაწინვე კვამდეკს შემწეობას და გვიხსნის დიდთა უბედურებათაგან, ბოროტებათაგან მხოლოდ კეთილ-ზნეობრივ და ღვთის მოშიშ მონათათვისთა. და მართლაც უწმიდეს და უბატონსეს ქრებინთა შეუძლია მფარველობა ცოდვითა და უსჯულუობათა, რომელი სელ-მეორედ ჯვარს აცმენ ძესა მისსა და უფალსა? უწმიდეს და ყოველად უბიწო ღვთისმშობელს ქალწულს შეუძლია ცქერა მოწყალე თვალთ უსჯულუობისა და ცოდვის სამეყრალისა? არა, ამა არა მოწყალეობას, არამედ რისხვას, არა მფარველობას და გამოსარჩელებას, არამედ განდევნას უნდა ელოდენ მისგან უდიერი და შეუნებელი ცოდვილნი.

ნუ შეაწუხებთ თავისი ცოდვებით დედას ღვთისას, ჩვენს ერთგულს შუამდგომელს; ნუ განდევნით თავსგან მის მადლიანს თქვენთან ერთად მყოფობას თვისი უსჯულუობაებით; ნუ შეუწაცხუოთ და ნუ ბნელჯყოთ დევანდელს ბრწყინვალე და მხიარულებაებით სავსე დღესასწაულს ბნელი საქმეებით, რომელიც არ არიან დიხსი ყოველად წმიდა ღვთისმშობლისა. მიჰბამეთ თქვენ კეთილ მისსურს წინაზართა, რომელიც საწმენოებით და ღრმა კე-

თილ მსახურებით დარსი ხდებოდენ შემწეობისა, წყალობისა და შუამდგომლობისა ზეციურის შეფიცვისა.

გურთხეული საქართველო არის წილხდომილი ღვთისმშობლისა; განიგრძოს მთარგელობა და შუამდგომლობა ღვთისმშობლისა, მისი გურთხევა და კეთილმუნებლობა ჩვენს ივერიაზედ და მთელს შემდეგს დროში იყოს იგი ყოვლად შემძლებელი და ყოვლად მოწყალე, განუშორებლად ჩვენგან თავისი ძალითა და მადლითა ნათესავითი ნათესავადე და უკუხითი უკუნისამდე. ამინ.

### მიძინება ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა

#### 15 მარამობასთვის.

ძრისტიანობის პირველ საუკუნედგან, წმიდა ეკლესიამ დაადგინა ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღის დღესასწაულობა. დაწვლილებითი აღწერილობანი როგორც ამა სასწაულებრივი შემთხვევისა, ისე ზოგიერთი ცნობანი ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ცხოვრებაზე, უფლის ამალღების შემდეგ, გადმოცემული გვაქვს ჩვენ ეკლესიის ძველი მწერლებისაგან.

ძრისტეს ზეცად ამალღების შემდეგ წმიდა მოციქულები ზეთისხილის მთიდგან დაბრუნდენ იერუსალიმ-

ში და ელოდენ ნუგეშინის მცემელს, სული წმიდას, რომელიც ალუთქვა მათ უფალმა. პველა მორწმუნენი სცხოვრებდენ ერთსულობით და სიყვარულით და მუდამ ლოცვილობდენ. მათთან იყო დედა იესოსი, და ზოგიერთი წმიდა ქალები, რომელნიც ემსახურებოდენ უფალს მისი ქვეყნად მყოფობის დროს. სხაღია, თუ რა სასიამოვნო და სანუგეშო იქნებოდა ღვთისმშობლის ყოფნა მოწაფეებთან, რომელნიც სწუხდენ თავის ღვთაებრივი მასწაელებლის მოშორებას. ლეთისმშობელი, რასაკვირველია, გადასცემდა მოწაფეებს იმ სიტყვებს, რომლებსაც, როგორც ამბობს წმ. მახარებელი ლუკა, იგი იტყვდა, იფარავდა რა გუფსა შენს თავისს; ყველა მორწმუნენი შესჩერებოდენ ლეთისმშობელს სიყვარულით და კრძალულებით. შოვლად წმიდა ლეთისმშობელი სცხოვრებდა სიონის მთაზე, წმ. იოანე ლეთისმეტყველთან, რომელიც თვით უფალმა, თავის ქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ წამს თავის სამაგიეროდ უშვილა ყოვლად წმიდა თავის დედას; იოანემაც, ამის შემდეგ, წაიყვანა ლეთისმშობელი თავის სახლში და ემსახურებოდა მას როგორც თავის დედას.

წმ. მოციქულებზე სული წმიდის გადმოსვლის შემდეგაც ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი დარჩა იერუსალიმში. მისთვის ძვირფასი იყო ის ადგილები, სადაც ეწო და მოკვდა მისი ლვთაებრივი ძე; იგი ხშირად დადიოდა სალოცავად გოლგოთაზე, ზეთისხილის მთაზე, ბაღში, სადაც დასაფლავებული იყო მაცხოვარი. შიქრობენ, რომ ყოვლად წმიდა ლეთის-





მშობლისაგან ქრისტიანებმაც გადიდეს კეთილ ჩუქუ-  
 ლება იმ ადგილებში საიარულისა, რომლებიც გან-  
 წმენდილნი იყვნენ უფალი ჩვენი იესო ქრისტესაგან.  
 როდესაც მეფე იროდმა დაუწყო დენა ქრისტეს  
 მორწმუნეთა, მაშინ ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელი  
 დროებით წავიდა მთესოში, სადაც ჰქადაგებდა ქრისტეს  
 სწავლას წმიდა იოანე ღვთის-მეტყველი. ზვირ გად-  
 მოცემა მოგვითხრობს, რომ ყოვლად წმიდა მარიამი  
 იყო ათონის მთაზე და ძიპრის კუნძულზე, სადაც  
 ეპისკოპოსად იყო ლაზარე, მკვდრებით აღდგომის  
 შემდეგ. აი რას მოგვითხრობს ამაზე ეკკლესიური  
 ზვირ-გადმოცემა.

როდესაც მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ  
 რომელი მათგანი სად წასულიყო ქრისტეს სახარების  
 საქადაგებლად, ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელმა ისუ-  
 რვა მონაწილეობა მიიღო მათ შრომაში და უბრძანა  
 მოწაფეებს მისთვისაც ეყარათ წილი. მას წილად ხედა  
 ივერია და ათონის მთა, მაგრამ ღვთის ანგელოსი  
 გამოცხადა ღვთის-მშობელს და აუწყა, რომ იგი  
 დროებით დარჩენილიყო იერუსალიმში. ამის შემდეგ  
 გავიდა რამოდენიმე წელიწადი და მან ისურვა წმ.  
 ლაზარეს ნახვა და გემით წავიდა ძიპრის კუნძულზე.  
 მოგზაურობის დროს ამოვარდა საშიშარი ქარიშხალი;  
 გემი ასცდა გზას და მიადგა ათონის მთას. ამ მთა-  
 ზე იდგა საკერპო ტაძარი, რომელიც სახეც იყო კერ-  
 პებით; მაგრამ როგორც კი ყოვლად წმიდა ღვთის-  
 მშობელმა თეხი შესდგა ამ მთაზე, კერპები მაშინვე  
 დავარდნენ ძირს; ღვთის-მშობელმა დაუწყო ქადა-  
 გება შეწინებულ მკვიდრთ იესო ქრისტეზე. მრავალთ  
 ირწმუნეს იესო ქრისტე და ღვთის-მშობელმა  
 სთქვა: «ადგილი ესე ექმნება ჩემ წილად, რომელიც  
 მომცა მე ძემან და ღმერთმან ჩემმან. ამ ადგილს არ  
 მოაკლდება მადლი ღვთისა, და მე ვიქმნები მისი  
 მფარველი და შუამდგომელი». ამისათვის ამ წმიდა  
 მთის მამანი დღესაც სთელიან ღვთისმშობელს თავის  
 საკუთარ მფარველად და ათონის მთას უწოდებენ  
 ღვთის-მშობლის წილხდომილად.

როდესაც დენა ცოტათი შეჩერდა, ღვთის-  
 მშობელი ხელახლად დაბრუნდა იერუსალიმში და  
 სცხოვრებდა აქ, მას გარსცხვივნენ მარწმუნენი,  
 რომელნიც სიყვარულით და კრძალურობით შესჩე-  
 რებოდნენ მას. როგორც თან-და-თან ვრცელდებოდა  
 ქრისტეს სარწმუნოება, ისე ვრცელდებოდა ღვთის-  
 მშობლის დიდებაც, და მრავალნი ძოდოდნენ შორე-

ული ქვეყნებიდან მის სანახავად. «მრავალნი არიან  
 ჩვენში დედანი, რომელთაც სურთ იესოს დედის  
 ნახვა», სწეოდა წმ. მენატე ღმერთ-შემოსილი. «ისმის,  
 რომ ეს ქალწულია დედა ღვთისა აღსილი ყოველივე  
 მადლით; რომ იგი ყოველივე დენას და უბედურე-  
 ბათა მოთბინებით იტანდა სიღარიბესა და ნაკლუ-  
 ლეწანებათა არ უკრთის, არავედ უხარის იგი; რომ  
 იგი ბედნიერების დროს თავმდაბალია, ღარიბთა მოწ-  
 ყალე და მეცლის მათ, რაც შეუძლია; მაგრამ არ  
 ითმეს, როცა ჩვენი სარწმუნოების წინააღმდეგ  
 მოქმედებენ; რომ იგი ვახარებულისა ჩვენი კეთილ-  
 ცხერებისა და მორწმუნეთა მასწავლებელი და  
 კეთლ გზაზე დამყენებელი; განსაკუთრებით უყვარს  
 მშვიდნი, ვინაიდან თვითონაც მშვიდია».


ძეგბთ-თაყვანის მცემელნი და ებრავლნი,  
 რომელთაც აძულდათ ქრისტიანენი, ზიხლით უცქე-  
 როდნენ ღვთის-მშობელს, რომელსაც მორწმუნენი  
 დიდს პატივს სცემდნენ. მათ იცოდნენ, რომ ყოვლად  
 წმიდა მარიამი ხშირად ნახულობდა იმ ადგილებს,  
 სადაც წვათა ქრისტემ და ამიტომ განიზრახეს მისი  
 შეპყრობა და მოკვლა; მაგრამ უფალი იფარავდა ყოვ-  
 ლად წმიდა ქალწულს და ამხადებდა მასს დიდებული  
 მიძინებისათვის.

ღვთის-მშობელი უკვე ძალიან მოხუცებულებაში  
 იყო, როცა მან ეჩხებელ ელეონის მთაზე ლოცვის  
 დროს, იხილა თავის წინ მთაყარ-ანგელოზი მიხაილი,  
 რომელსაც ხელთ ეყრა ინდის ხურმის ხის ტოტი;  
 ანგელოზმა ახარა ღვთის-მშობელს, რომ იგი ამ სამი  
 დღის შემდეგ მიიძინებს. ანგელოზმა რქვა: «მე შენი  
 და ღმერთი ჩვენი აღგიტაცებს შენ თავის სასუფე-  
 ველში, რათა იცხოვრო და იმეფო მასთან საუკუ-  
 ნოდ». ამის შემდეგ მისცა მას ის ტოტი, რომელიც  
 მას მოტანილი ჰქონდა სამოთხილამ და განშორდა.  
 დიდის სიხარულით მოისმინა ღვთის-მშობელმა თავის  
 მიძინების ამბავი, რადგან დიდის ხნიდგან სურდა  
 ამ ქვეყნილამ საუკუნო სასუფეველში გადასახლება.  
 იგი დავარდა მიწაზე, დიდხანს ევედრებოდა ღმერთს  
 და მადლობდა უფალსა.

როცა იგი დაბრუნდა სახლში, წმიდა იოანე  
 ღვთის-მეტყველი გააკვირვა ღვთის-მშობლის პარის  
 სახის ელვარებამ. მოვლად წმ. მარიამმა აუწყა ნას  
 ყოველივე, რაც კი მან იხილა და იწყო მხადება მი-  
 ძინებისათვის; მან გაამშენა და მორთო სახლი, უან-  
 დერძა ორ ღარიბ ქვრივ ქალს თავისი ტან-სამოსე-

ლი, რომელიც მას ჩვეულებრივად ეცვა, და სთხოვა წმ. იოანე ლეთის-მეტყველს დაემაჩნა მისი სხეული გეთსამანიის დაბაში, სადაც დამარხულნი იყვნენ მისი მშობელი და წმ. იოსები, რომელზედაც იგი დაწინდულ იყო. წმ. იოანემ ლეთის-მშობლის მიძინების მოახლოვება შეატყობია იერუსალიმის ეპისკოპოსს, შეატყობია ეს ამბავი აგრეთვე ყოველად წმიდა ქალ-

მას სურდა ენახა უკანასკნელად იხინი, რომელთაც უფალი უწოდებდა თავის ძეებად და მეგობრებად და რომელიც გაფანტულნი იყვნენ მოელი დედა მიწის ზურგზე სახარების საქადაგებლად. ეს სურვილიც შეუსრულდა ლეთის-მშობელს. სასწაულებრივის სახით, ყველა მოციქულები, გარდა თომასა, მოვიდნენ იერუსალიმში და ყველანი ერთად გამოჩნდნენ ლეთის-



წულის მონათესავეთ და ყველა მორწმუნეთა. შვილანი მალე შეიკრიბნენ, აველანი სტიროდნ და სწუხდნ ლეთის-მშობლის მოცილებას, მაგრამ იგი ანუგეშებდა ყველას და ეუბნებოდა ანგელოსის სიტყვებს და თან უჩვენებდა მათ სამოთხის ხის ტოტს და პირდებოდა მათ ლეთის წინაშე ვედრებას.

მშობლის სახლის კარებთან. სხვა მოწაფეებთან ერთად მივიდა პავლეც თავისი მოწაფეებით, ლიონოსი, პრეოპაგიტოთურთ, ტიმოთეით და პროთი. შევლანი განცივებდნენ, როცა ერთმანეთი იხილეს; როდესაც ლეთის-მშობელმა შეატყობია მათ თავისი მიძინების მოახლოვება, მათი გული აღიესო მწუხარებით, წარმოადგინეს რა, რომ იგინი უკანასკნელად ხედავენ იესოს

პიდეც ერთი სურვილი ჰქონდა ლეთის-მშობელს:



დღეს; მაგრამ ღვთის-მშობელი ყველას ანუ გეგმებდა და სხვაოდა არ შეწუხებულიყვნენ: „ნუ სტირით, მეგობარო და ქრისტეს მოწაფენო, ეუბნებოდა იგი მათ, — და ნუ დაფარავთ ჩემს მხიარულებას თქვენი მწუხარებით; არამედ იხარებდეთ ჩემთან ერთად, რომ მე მივალ ჩემ ძესთან და თქვენ ღმერთთან, და, ჩემი სხეულის დასაფლავების შემდეგ, თქვენივე საქმის მოპყიდვით ხელი». ამის შემდეგ ყოველად წმიდა ღვთის-მშობელმა დაუწყა მოწაფეებს გამოკითხვა, თუ რა მოიქმედეს მათ სახარების სწავლის გასაფრცხვლებლად, დიდხანს ელაპარაკა მათ, შემდეგ აკურთხა ისინი და მასთან შეაყვარა ღმერთს მთელი ქვეყანა.

დადგა ღვთის-მშობლის მიძინების დღეც. დიდგან სანთლები ანთებულნი იყვნენ სახლში, ნიშნად მხიარულებისა და დღესასწაულობისა; მოციქულები ევედრებოდნენ და აღიდებდნენ უფალსა; მართულს სარცელზე იწვა ღვთის-მშობელი და სიხარულით ელოდა სიკვდილს. — შცებ, მესამე საათზე, ზეციურმა გასაოცარმა ნათელმა გაანათლა სახლი, სახლის სახურავი თითქო ვახხნა, და სასწაულებრივი მოვლინება წარმოუდგა მორწმუნეთა თვალს. თვითონ უფალი იესო ზეციური დიდებით, გარემოცული ანგელოზებით და წმიდანებით, ჩამოდიოდა ზეცილად ღვთის მშობლის სულის მისაღებად. «აღიდებს სული ჩემი უფალსა! წარმოსთქვა ღვთის-მშობელმა, და განიხარა სულმან ჩემან ღმერთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა, რამეთუ მოხდენა სიმდაბლესა ზედა მხველისა თვისისა!» შთაღმა მოუწოდა ყოველად წმიდა თავის დედას საუკუნო ცხოვრებისადმი, და შემდეგ მისმა გალობა ანგელოზთა, რომელნიც აღიდებდნენ ღვთის-მშობელს თავარ ანგელოზის მიხაილის სიტყვებით: «გიხაროდნენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა; კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის!» შველანი კრძალულებით შესტკვროდნენ ამ დიდებულს სანახაობას; შემდეგ, როცა მივიდნენ ცხედართან, რომელ ზედაც განისვენებდა ყოველად წმიდა ღვთის-მშობელი, იხილეს, რომ მისი პირის სახე ბრწყინავდა, როგორც მზე; საოცარი სუნნელება გავრცელდა ოთახში, და ყველა იქ დამსწრეთა გული აღივსო გამოუთქმელი სულიერი სიხარულით.

როდესაც დადგა ღვთის-მშობლის ყოველად წმიდა გვიამის დასაფლავების დრო, მოციქულებმა აღიღეს ცხედარი და ფსალმუნთა გალობით წაასვენეს ის ბეთსამანის ბაღში. წინ მიდიოდა წმიდა იოანე ღვთის-

მეტყველი, რომელსაც ხელთ ეპყრა სამოთხის ხის ტოტი. შველა მორწმუნენი მიდიოდნენ ყოველად წმიდა გვიამის უკან; მათ ზემოთ მიცურავდა ბრწყინვალე ღრუბელი, რომელიც ანათებდა მორწმუნეთა, და ანგელოზთა გალობა შეუერთდა მორწმუნეთა ხმას. როცა იერუსალიმის მცხოვრებლებმა იხილეს ეს სასწაულებრივი ხალვა, შეუერთდნენ მორწმუნეთა და გაჰყვნ მათ უკან; მაგრამ როცა მღვდელ-მთაფრებმა და ებრაელების უფროსებმა შეიტყეს, რომ ასეთ პატივს სცემდნენ ძრისტეს განსვენებულს დედას, მაშინვე გაგზავნეს დაიარაღებულნი მხედრები, რათა დაეშალათ ეს კრება და ძრისტიანებისათვის წაერთმიათ ღვთის-მშობლის გვიამი: მათ უნდოდათ დაეწვათ იგი. მაგრამ უცრად, მხედართა მიხლოების დროს, ბრწყინვალე ღრუბელი ჩამოეშვა ძირს და ქვის კვდელით შემოელობა კრებას: და გამოგზავნილნი მხედრები უცრად დაბრმავდნენ. შემდეგ ზოგიერთი მათგანი, რომელნიც ერწმუნენ ქრისტეს, განიკურნენ ამ სენისაგან ღვთის-მშობლის საფლავთან.

მოციქულებმა დასაფლავეს ღვთის-მშობლის გვიამი გეთსამანის ღაბის გამოქვაბულში და ზემოდამ გამოქვაბულს მიაფარეს ლოდი. სამი დღის განმავლობაში მოციქულები განუწყვეტლად ევედრებოდნენ ღმერთს საფლავის წინაშე და მთელი ამ დროის განმავლობაში არ შეწყვეტილა ანგელოზთა გალობა.

მესამე დღეს ღვთის-მშობლის მიძინებისა, მოვიდა მოციქული თომა. მას ძალიან ეწყინა, რომ დაიგვიანა და ცოცხალს ვეღარ მოუხწრო ყოველად წმიდა ღვთის-მშობელს. მოციქულებს უნდოდათ ენუგეშებიათ იგი, მათ გადააგორეს ლოდი საფლავიდან, რომ თომა შესულიყო საფლავში და თავიანი ეცა ყოველად წმიდა გვიამისათვის. გადააგორეს ლოდი და, როცა საფლავში შევიდნენ, იხილეს, რომ იგი ცარიელი იყო და იმ ადგილზე, რომელზედაც ესვენა ყოველად წმიდა ღვთის-მშობლის გვიამი, იდგა მარტო სახვევი.

მოციქულები განცვიფრდნენ და შეევედრნენ უფალს განემარტებია მათთვის ეს საიდუმლოება; და იმავე დღეს მათ ყოველივე შეიტყეს. მოწაფეები შეიკრიბნენ საერთო სუფრაზე და მუსაფოზდნენ ღვთის-მშობლის მიძინებაზე. მათ შემდეგი ჩვეულება ჰქონდათ: როცა სუფრაზე დასხდებოდნენ, ერთ თავისუფალ ადგილს სტოვებდნენ და მის წინ დასდებდნენ პურს სადღებლად აღდგომილი უფლისა იესოსა. პურის ჭამის გათავების

შემდეგ იგი იწინა აღიღებდნენ ამ პურს, წოდებულს «ქრისტეს ნაწილად», აღიღებდნენ ყოვლად წმიდა სამებას და შემდეგ წარმოსთქვამდნენ: «უფალო ჩესო ქრისტე, შეგვეწიე ჩვენ!» შემდეგ სჭამდნენ ამ პურს, როგორც იესო ქრისტესაგან ნაკურთხს. ამ ერთ დროს, სწორით იმ წამს, როცა ისინი, სადილის შემდეგ აღდგნენ, რათა აიღონ «ქრისტეს ნაწილი», მათ უცრად მოგებათ ანგელოსთა გალობა, და, როცა აიხედეს ზეცად, იხილეს ღრუბელთა ზედა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი, ბრწყინვალე დიდებითა და გარემოსილი ანგელოსებითა. «იხარებდეთ, რქეა მან მოციქულებს, ეინაიდგან თქვენ თანა ვარ ყოველთა დღეთა!» გამოუთქმელი სიხარულით აღესილმა მოციქულებმა თავისი ჩვეულებრივი ღოცვის ნაცვლად ღალად ჰყვეს: «ყოვლად წმიდა ღვთისმშობელო, შეგვეწიე ჩვენ!» ამის შემდეგ ირწმუნეს მოციქულებმა, რომ ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი აღსდგა მესამე დღეს შემდეგ თავის მიძინებისა, და სხეულით ალტაცებულ იქმნა ზეცად. სახსოვრად ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მოციქულებისადმი გამოცხადებისა, წმ. ეკკლესიამ დაადგინა მსხვერპლის შეწირვა ღვთისმშობლის სადიდებლად და ეს შეწირულება იწოდება «პანაგია» (პანაგია ნიშნავს ყოვლად წმიდას).

ზამოქებაულის ზემოდ, რომელშიაც ჩასვენებულ იქმნა ყოვლად წმ. ღვთისმშობლის გეამი, აღმწებულ იქმნა შემდეგში ეკკლესია და იწყეს ღვთისმშობლის მიძინების ბრწყინვალედ დღესასწაულობა. ეს დღესასწაული ერთი უდიდესი დღესასწაულთაგანია საუთფლო დღესასწაულებში.

**რამდამიის პასუხი.**

ფ. მ. კიკ—ძეს. თქვენი წერილი სიამოვნებით წავიკითხეთ. სიტყვასა და საქმეს შორის დიდი გარჩევა არის ადვილ საქმედ მიგაჩნიათ გალობის დაწყობა სოფლის ეკლესიებში, მაგრამ საქმით კი ეს ძნელი მოსახერხებელია. მრევლის გულგრილობა ბევრ კეთილ საქმეს ელობება წინა. მღვდლებზე არა გეთქმის რა. თქვენ მოგამზადა სა-

ზოგადობამ სამღვდელთ, მაგრამ მღვდელთას თქვენ მომრიგებელ მოსამართლედ ყოფნა აპოლოზით, რადგან მუტ ფამაგირს მოყოლოდით..

გ. ალ შიბაიას. უარესი ცრემორწმუნეობა სუფევს მართლ-მადიდებელ ქრისტიანებში, მაგრამ რა გაეწყობა...

ჩვენი ერთგულს. ბენე—საგან ჩვენ არასფერი არ გაგვიკვირდება. იმ კაცისაგან, რომელსაც სარწმუნოება და სინდისი დაკარგვია, ყველაფერს უნდა მოელოდეს. მაგრამ ჩვენ სიმართლისათვის ყველა მის დევნას და ღანძლვას მოთმინებით ავიტანთ; რამდენიც უნდა ილაპარაკოს, მინც თავის ადვილზე უნდა მივიდეს იგი და თავის კალაპოტში უნდა ჩადგეს...

ან. კო—ეს. თქვენი სტატია „საღმურის ზვირგამოცემა ეაზბევის ყირვინის მთაზე“ არ დაიბეჭდება.

მღვდელს. მ. გა—ეს. კარგი იქნება, რომ სხვა საგნებს აიღებდეთ სათარგმნავად...

მღვდელს. ა. ვა—ას. ამ ნომერში ერთი სიტყვა იბეჭდება და მეორესთვის ადგილი აღარ რჩება

ტერსკის სამფლობელოში მღვდელს ი. ლაბა—ეს. თქვენ თვითონ ამტკიცებთ, რომ საქმეს უფრო დიდი გავლენა აქვსო. ეს მართალია. ეცადეთ, პირველად საქმით და მოქმედებით დაუმტკიცოთ თქვენს რუსის თანა მოძმეებს ქართველი მღვდლის კეთილი თვისება და პატიოსნური მოძღვრობა.

**შინადასი:** მღვდლის ავტორიტეტი. — ათონის ივერიის იოანე ღვთისმეტყველს საგანის ქართველ ძმთა წერილებისა გამო. — მოგზაურობა მისი მადლყოვლად უსამღვდელოების საქართველოს ექსარქოსის პალატისა ვაძმაში. — ყოვლად სამღვდელთ გუნიანსაძეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორის მოგზაურობა კაზანში ეკკლესიების დასახელებათ. — როგორ ექვეყიანსოჯიგთნი პირნი ძველ სელთ-ნაწერებს. — დამატება მეცნაურებათუ სელოგებზე. — სადაი ამბები და შენიშვნები. — სიტყვა, თქმული მისი მადლყოვლად უსამღვდელოების საქართველოს ექსარქოსის პალატისმიერ. — მამიკება ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა. — რედაქციის ზუსტია.